

მარილიანი სიტყვა შემოგვინახე როგორც უებარი რამ წამალი, რომელიც შენს ქალაქის პირველ აფთიაქში (რომ გართმევენ, გართმევენ და, საბედნიეროდ, დღემდე ვერ წაგართვეს)! ან არ იშოვება, ანდა სიძვირისა გამო ხელმიუწვდომელია დღევანდელი დვოისა და შადრევნების ანაბარა დარჩენილი ქართველისთვის (და თუ გეწყინა რამე, ზემოსენებულო ქართველო, ადექტი და აგრე უღვთოდ გაძვირებული ცოვი წყალი ისევ დვოის შეწევნით ამ შადრევნიდან მუქთად დალიგა ესეც ხომ შედავათია?..).

როგორც ძვირვას განძს ეკადრება, ისე ინახავს სოკრატი ანუ სოსო, პოეტის ყველა ლექსპრომტს...

სოსო! დაუძინებელი
გინაიდან ძმა გარ შენი, —
დამაძინე! — მომაშველე
როდედრომი, სედუქსენი.

ეს 1985 წლის 23 დეკემბერს დაწერილი სტრიქონებია. როცა, როგორც თავისი ქვეყნის ყველა ჭირისუფალს, პოეტსაც უკვე ძილი ჰქონდა გამფრთხალი. ათი წლით ადრე კი:

მადლს გწირაგ ატეეფისთვის,
მზესოსოვ, შენი კვნესამე!
სულ მალე თორმეტს მოგართმევ,
ახლა თუ მაცლი ექვს მანეთს.

ზაურ ბოლქვაძე უკვე “ნიანგის” რედაქტორია, მთავარი. 1996 წლის 25 ივნისია. მთავარ რედაქტორს ბლოკნოტიდან ფურცელი ამოუხევია და იქვე აფთიაქში “მოუ-გრეხია მუზისთვის კისერი”.

“სალალობო ლექსპრომტი გაზეთ “წამალთმცოდნეობის გონებისკარის” მთავარ რედაქტორსა და უმთავრეს ავტორს, 6 მონოგრაფიისა და 30 მეცნიერული შრომის შემქმნელს, შ.პ.ს. “ამბაკოს” გენერალურ დირექტორს, ქ.თბილისის №1 აფთიაქის მმართველს, №1 წამალთმცოდნესა და ერთ-ერთ უპირველეს ქართველს, ჩემს საყვარელ ძმას და მეგობარს სოკრატ (სოსო) სტეფანეს ძე სალუქვაძეს.

გაზეთ “წამალთმცოდნეობის
გონებისკარს”, ძმაო სოსო,
განსაზღვრული ოდენობით,
წამლად გხმარობ —
იმით ვცოცხლობ!

სოკრატ, დიდო წამალთმცოდნევ,
არ მოვავდები არასოდეს!
რაც ამაგი გამიწიე, —
არ იქნება, არ მასხოვდეს!

P.S.

თუ ხიროში ნაკაჯიმა
გესტუმრება, დამპატიუებთ!

ეს ხიროში ნაკაჯიმა უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი იყო, რომელიც სოკრატ სალუქვაძემ თავისი აფთიაქის მუზეუმის 125 წლის იუბილეზე დაპატიჟა. ეს ისე, სქოლიოს მაგივრად.

ახლა კვლავ საქმეს მივუყვეთ. ხსენებული ნაკაჯიმას სტუმრობის შემდეგ პოეტს ახალი ლექსპრომტი გაუგზავნია თავისი მეგალუ პროგიზორისათვის:

სიმღერა

უდიდესო წამალომცოდნებ,
მუდამ ასე მამაცობდე,
კალმასობდე, ალმასობდე
და არ მოკვდე არასოდეს!
გაქებენ და გადიდებენ,
რომ ამშვენებ ქართულ მიწას!
მალე შენზე გადიდებენ
საოსკარო მხატვრულ ფილმსაც!

მისამღერი

დოკუმენტურ ფილმში გნახონ
ვინა ხარ!
ახალ აფთიაქში გნახონ
ვინა ხარ!
აბა, ლიხაურში გნახონ
ვინა ხარ!
ჯამით ტოლუმბაში გნახონ
ვინა ხარ!
შენს მზეოჯახში გნახონ, ვინა ხარ!
შენი თხზულებებიც ნახონ
ვინა ხარ! –
და დარწმუნდნენ შენს
დიდ ქართველობაში.

ჩვენი ეს წამალომცოდნე და მართლაც წამალივით კაცი იმითაც არის გამორჩეული, რომ, იმ ქართველთაგან განსხვავებით, ვინც ისე მოდის ამქვეყნად და ისე მიდის იმ ქვეყნად, ზეპირად იცოდეს კი არა, წაკითხვითაც კი არ წაუკითხავს ჩვენი უპირველესი ბიბლია – “ვეფხისტყაოსანი”, მან მართლაც თითქმის ზეპირად იცის რუსთველის უკვდავი ქმნილება და ზაურ ბოლქვაძეს აბა, როგორ გამოეპარებოდა ეს ფრიად მოსაწონი პატრიოტული ამბავი? არც გამოჰქმია და გაჩნდა ახალი ლექსპრომტი:

ზეპირად ამბობს სოკრატი
“ვეფხისტყაოსანს”
“სოკრატიი!”
გახტანგის გამოცემა აქვს
გამოტანილი “პროკატიო!”

სოკრატი არის მოღვაწე
 კონკრეტული და ზოგადიც.
 და უფრო მეტად მაღლდება,
 რაც უფრო მეტი დრო გადის!
 სოკრატისთანა თამადას
 გელარ დაბადებს მყოფადი! –
 პოეტობს, მეფობს, მთელ სუფრას
 ჰკრავს ლენინგრადის ბლოკადით!
 გახლავთ მწერალთა მფარგელი,
 მათი მშველელი ლომბარდი!
 სულდიდი სალუქვაძეა,
 უდალატოა ძმობაში!..
 დღეს სანთლით საძებნელია
 ჯენლტმენი – მისი ტოლფასი...
 ლიხაურელი ლომია,
 ღმერთია ზაურ ბოლქვაძისა!

ეს მომხდარა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში პოეტსა და უურნალისტს ზაურ ბოლქვაძეს ფული შემოჰკლებია და სოკრატისთვის უთქვამს: “ჩემო სოსო, ერთი თვის ხელფასი მასესხეო”. რა თქმა უნდა, მეგობარს მეგობრისთვის ეს თხოვნა შეუსრულებია. შემდეგ ჩვენი სოკრატი საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასასწრებლად გამგზავრებულა ქ. რიგაში. ხომ გახსოვთ ჰორანას სენსაციური ევრიპა გენის სინოეზის შესახებ. რიგიდან დაბრუნებულს ჩვენ სოკრატისაც შემოჰკლებია ფული და პოეტისთვის ვალის დაბრუნება ტელეფონით შეუხსენებია. ზაურს უარი არ უთქვამს: “ეხლავე მოვა შენთან ჩვენი წერილების დამტარებელი კურიერი – გულია და პაკეტით ვალს დაგიბრუნებსო”. ასეც მომხდარა კურიერს პაკეტი რომ გადაუცია, სოკრატის გამჭოლ სინათლეზე გაუხედავს და იქვე უთქვამს, ამ კონვერტში ფული არ არისო. კონვერტის გახსნის შემდეგ რაც იქ ეწერა, ის ლექსი დღესაც წამალომცოდნის პირად არქივშია:

ლიხაურელო რიგელო
 წამლებისაგან გაგცალე
 თუ ჩემი ძმა ხარ, მიშველე,
 ცოტა ხანს კიდევ მაცალე.
 შენთან სირცხვილნაჭამი ვარ,
 ძმაო, ხოსო სალუქვაძე,
 გერ გიყურებ, ნასვამი ვარ,
 თვალები მაქვს დალუქვაზე,
 რაც შენ ჩემზე ამაგი გაქვს,
 დაეტევა რა რუკაზე.
 ცხვარს მოგიყვან ანაგიდან,
 არ თქვან, ამაგს არ უფასებს.
 შთაგონებას სუფევ მგოსნის,
 პოეზიის აფთიაქო,
 მითხრეს კოკარბოქსილაზის

დღზა ათჯერ ათი “აქო”.
გწამდეს, შენი ერთგული ვარ,
რომ არა ვარ დეზერტირი,
გამიხერხე დიბაზოლი,
პურგენი და რეზერპინი.

ერთ-ერთი ბოლო, არცთუ პოეტის სიკვდილსწინა, ლექსპრომტი კი “აჯამებს” ჩვენი ბუნებათანაზიარი წამალთმცოდნის კაცურკაცობას:

დირსი ხარ და მიტომ გაქებ! –
გაქვს მბრდღვინავი ლომის წონა!
შენი სიტყვა, შენი საქმე
ჩვენმა ერმა მოიწონა!
ვინაც ცუდი რამ თქვა შენზე,
დრომ დროულად მოისროლა!
პროფესორიც კი ვერ შეძლებს,
რაც შეძელი პროვიზორმა!

მე არ ვიცი, ბოლო-ბოლო, რა “ფულადი ვალი” გაჟყვა ზაურს სოკრატისი, მაგრამ ის კი დანამვილებით ვიცი, რომ სოკრატი ვერასოდეს ვერ ამოვა პოეტის ვალიდან. ასე რომ, ვინც სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს ეპირებით, იმეგობრეთ პოეტებთან, უწინარესად კი ისეთ პოეტებთან, ვისი სიტყვაც სიკვდილს სიცოცხლის ბოლომდე მოკვლის საშუალებას არ აძლევს... და დროგამძლეობა და ყინულგამძლეობა რა მოსატანია, თუ ხუმარსიტყვა ჭეშმარიტად ლიმილგამძლეა...

გურამ წიკლაური-გოგიაშვილი

პენსინგვალიის უნივერსიტეტის პროფესორი შუმეროლოგი, სემიუელ ნოა კრამერის შრომებით ხშირად სარგებლობს წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე. თუ გერმანელი მეცნიერის ებერსის ცნობით ეგვიპტურ პაპირუსზე დაწერილი ფარმაკოპეის ასაკი

2000 წლით განისაზღვრებოდა ს. კრამერმა დაადგინა, რომ კერამიკულ ფირფიტებზე დაწერილი 13 რეცეპტი კაცობრიობის უძველესი პრიმიტიული ფარმაკოპეა არის, რომელიც ქრისტეს შობამდე 2400 წლით თარიღდება. ოპონენტებთან პოლემიკის წარმოებისას, მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე ხშირად მიუთითებს სქოლიოს სახით ს. კრამერის მონოგრაფიას “ისტორია იწყება შუმერიდან”. “ნაკადული”, თბილისი 1988 წ. (იხ. ამ მონოგრაფიაში ქვესათაური “მედიცინა” გვ. 73-79).





საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი მდივანის, – სალუქაძეთა გვარის შხოსა და ჯაფარის ბატონი მინდია სალუქაძის ქალბატონ თამუნი ჯაშთან ჯვრისწერა-დაქორწინება



ქალბატონები სალუქაძების გვარისა მაია ელგუჯას ასული, მარინე და მანანა ტელემაყურებლებს ალბათ კარგად გგახსოვს გადაცემა ტაბუ რომელსაც ნიჭიერად უძღვება მარინე სალუქაძე

ისტორიული ცენტრი სალუქარების უმსახვებელი, ანუ ვისი გორისა ვარ

სალუქარების საგვარეულოს წარმომადგენლები ძირითადად ოზურგეთის რაიონის სოფელ აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის შემოგარენში, მთაგორიან ადგილებში ცხოვრობდნენ. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ეს ეკლესია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული შენობა გახლავთ. ჩვენი დაკვირვებით და საფლავის ქვებზე ლაპიდარულ-მემორიალური წარწერების შინაარსის გაცნობის მიხედვით, ქტიტორები ყოფილან თავად-აზნაურული გვარების: გურიელების და ანთელიძეების წარმომადგენლები, ხოლო საეკლესიო გლეხები ყოფილან სალუქარების, რომლებიც ქვაზე და მეტალზე დღემდე შემორჩენილი წარწერებით ზოგჯერ სალიქვაძეების გვარითაც მოიხსენიებიან. თედო უორდანიას ქრონიკების II ტომში ისტორიულ საბუთებში XVII საუკუნიდან ფიგურირებს სალუქარების გვარი, მაგრამ, რადგანაც აჭის წმინდა გიორგის სახელობის საეკლესიო გლეხები ყოფილან სალუქარების, ცხადია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ეს გვარი არსებობდა საკულტო დაწესებულების მსახურად სოფ. აჭში! ასე, რომ 700-800 წლის ისტორია სახეზეა. ბიძაჩემის (93 წლისა გარდაიცვალა) წერილობითი განცხადებით, საბა სალუქარე აჭიდან ნიაბაზურში, ე.ი. ბაბუაჩემის ბაბუა აჭის წყდის ხეობაში ჩამოსახლებულა. ასევე, ამ სოფლიდან „უჩხუბში“ გადასახლებულა ცნობილი ქორეოგრაფის, ლოტბარის და ელექტროინიზირის, აწ განსვენებულ ბატონ გიორგი სალუქარების ბაბუა, რომლის შესახებ ამ სტრიქონების ავტორს და პირადად გიორგი სალუქარებს გვიამბო სოფ. აჭის მკვიდრმა, 92 წლის თომა სალუქარებები. ამასვე აღიარებენ სოფ. ძიმითში მცხოვრები სალუქარები, რომ მათი წინაპრების გადმოცემით, სალუქარების სალოცავი ხატი აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ასვენიაო, რასაც ადასტურებს 70 წლის სამხედრო პირი, წარმოშობით სოფ. აჭიდან, შემდეგ სოფ. ძიმითში მცხოვრები და ამჟამად დედაქალაქ თბილისის მკვიდრი ალექსანდრე სალუქარე (სამწუხაროდ სამი წლის წინ გარდაიცვალა) სალუქარები სოფ. ფამფალეთშიაც ცხოვრობდნენ, ლადიკო, აქსენტა და მონასა აქედანაა.

წმინდა გიორგი გახლდათ გლახაკოა ხელისმკურობელი, ტყვეთა განმათავისუფლებელი, სნეულთა მკურნალი, მეფეთა ლაშქრის უძლეველი წინამდლოლი, მეგზურთა შემწე და უსამართლობასთან შეურიგებელი ბრძოლის სიმბოლური განსახიერება! ჩვენი დაკვირვებით ეს გამოსჭივის როგორც ყოველი ქართველის საქმიანობაში, ასევე, მეტ-ნაკლებად სალუქარების ყოფაქცევასა და საქმიანობაში. მე ხელთ არა მაქვს ისტორიული წერილობითი საბუთი, ან რაიმე პირველწყარო იმის თაობაზე, რომ სოფ. აჭის წმინდა გიორგის ეკლესიის გარდა უპირატესობა მივაკუთვნო საქართველოში არსებულ რომელიმე საკულტო ნაგებობას – ეკლესიას, სადაც მართლმორწმუნე ქრისტიანი სალუქარები აღავლენდნენ ლოცვა-ვედრებას. ნათლავდნენ თავიანთ შთამომავლებს, სწირავდნენ მხვერპლს და ოჯახებით სახლობდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე. ამიტომ, მივესალმები ყველა სალუქარებს აჭის წმინდა გიორგის ხატით, რომლებიც ცხოვრობენ რაჭის სოფელ ჭრებალოში, აჭარაში, დიდ ჭყონში (მარტვილში), მაშასადამე, სამეგრელოში (თურმე სალუქარები აფხაზეთშიც ყოფილან), ლანჩხუთში – სოფ. ნინოშვილშიც, თუ ჩვენს დედაქალაქ თბილისში, გაგიმარჯოთ, გაისარეთ, სალუქარების, „ბრევლი“ ყოფილიყვავით, გამოგყოლოდეთ წმინდა გიორგის მადლი, ხასიათის

სიმტკიცე-ნებისყოფა, მიზანდასახულობა, წმინდა სული, სისპეტაკე, პატიოსნება და, რაც მთავარია, უსამართლობასთან შეურიგებლობა, განუწყვეტლივ ბრძოლისუნარიანობა. იმასაც ამბობენ, სალუქვაძეთა გვარი კლდესავით სალი, კლდესავით მაგარი და გაუტეხელიაო – აქედან შეიძლება წარმოდგებოდეს გვარის სათავეო, ამბობენ, სალუქი დიდებულიაო, ღმერთმა პქმნას, აგრემც იყოს!!! გული დამწყდა გულწრფელად დიდი შოთა რუსთაველი ჩვენი გვარის ფუძეს მაინცდამაინც ფატმან ხათუნის სამოსელის აღწერილობისას ახსენებს: „დია ეცვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელიო“.

1907 წელს ლლოპატინსკისა და ე. თაყაიშვილის რედაქციით ქ. თბილისში გამოცემული

ИЗВЕСТИЯ
Кавказского Отделения
ИМПЕРАТОРСКОГО
МУЗЫКАЛЬНО-АРХЕОЛОГИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА.
—
Выпускъ II.
—
ПОДЪ РЕДАКЦІЕЮ
Л. Г. Лопатинскаго и Е. С. Такайшили.
—
ТИФЛИСЪ.
Типографія К. П. Козловскаго, Головинскій просп., № 12.
1907.

всѣмъ не упоминаетъ. Надъ южною дверью на большомъ цѣльномъ каменѣ въ срединѣ имѣется рѣзной крестъ и по сторонамъ надпись заглавными хуцами. Камень пористый, съ цараницами, и надпись не легкодается разбору. Она по нашему читается:

Ф. Р-О. ყ-ჲ ჲ-Ч	ი-კ უ-ჭ-ჭ-რ
უ-რ-ბ-ი-რ-ს	ს-მ-ს ჭ-ჭ
ვ-ე ი-უ-რ-ი-ს ვ-ე	ჲ-ი-კ-უ-ჭ-ჭ-რ-უ-ჭ-ჭ
<hr/>	
რ-გ-ი-ს ვ-ე	უ-რ-ბ-ი-რ-ს
ვ-ე ჲ-უ-ჲ	ჲ-უ-ჲ

Безъ сокращеній по моему надпись саѣдуетъ читать:
„მდინარე, მე-მ ე-ჭ-ჭ პ-ტ-ო-ნ-ი: ს-ი-დ-ი-ს, ჲ-ი-ს ჭ-ჭ-ბ-ი-ს (?) და მ-ე-ს ე-ჭ-ჭ ნ-ი-რ-ი-ს ჭ-ჭ-ი-ს ჭ-ჭ-ი-ს (?)“. „Святой Георгий, будь ходатаемъ патронамъ: Сагири, Рату и Ушаниану (?), и будь ходатаемъ Николаю Адциели и каменини Мигелю и Мхециძэ (?).“

Лица, упоминаемые въ этой надписи, изъ другихъ гурийскихъ видимы намъ неизвестны. Упоминается только о Николаѣ Адциели въ одномъ актѣ, донномъ Такѣ Салуквадзе (передъ дворянъ Такайшилевыхъ, которые раньше носили фамилию Салуквадзе) абхазскимъ католикосомъ Шемокмедианѣ Давидомъ Невадзе или Немадзе во второй половинѣ XVII вѣка. Это же Николай Такайшили, адисій цинамдигварь (настоятель), или Адциели, упоминается еще въ актѣ Гуреланѣ Георгія IV (†1726) и матери его Елены, урожденной Абашидзе (?). Но мы полагаемъ, что не объ этомъ Николаѣ Адциели идетъ рѣчь въ разбираемой надписи, а о другомъ, жив-

¹⁾ Бакрадзе. Арх. пут., стр. 108.

საიმპერატორო უწყებანი. იხ. 77-ე გვერდი, სადაც მითითებულია, რომ აზნაური თაყა თაყაიშვილის წინაპარი სალუქვაძე ყოფილა. რასაც, როგორც ჩანს, იზიარებდა აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.

საინტერესოა ერთ-ერთი სიგელ-გუჯარი, რომელიც „ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოსს, შემოქმედელ ნევსაძეს, პატრონ დავითს“ მიუცია თაყა სალუქვაძისათვის. „აქის მონასტერი, – ნათქვამია სიგელში, – რომელიც დაელთაგანვე თქვენი სახელისათვის უბოძებიათ გურიელებსო“: ამას გვაუწყებს ცნობილი მგვლევარი დიმიტრი ბაქრაძე (იხ. „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, 1987 წ. გვ. 97). „შემოგწირეთო, – ნათქვამია ამ ისტორიულ წყაროში, – ერთი კუამლი კაცი მამუკა სალუქვაძე, მეორე კუამლი კაცი პატია სალუქვაძე, გეგიძე ბერთან რომ დგას, მესამე კუამლი კაცი მაკვანეთს პატია ანთელიძე“.

აქ ერთი დეტალია ყურადღების დირსი, სახელდობრ, სალუქვაძეების გვარიდან წარმოშობილა გვარის განშტოება – სახელი „თაყა“-დან თაყაიშვილებისა XVII საუკუნის II ნახევარში. პირდაპირ ისტორიულ წყაროს, ამის დამამტკიცებელს, თვით ექვთიმე თაყაიშვილმა მიაგნო და იგი გამოქვეყნებულია იმპერატორის უწყებების 77 გვერდზე. ასეთი ვერსია ეთნოგრაფიული თქმულებითაც ვრცელდება ისტორიული პიროვნება თაყა სალუქვაძე აშკარად ფიგურირებს აღსაყდრების (დაწინაურების)

სიგელ-გუჯარში. მას აზნაურის წოდებისთვის მიუღწევია. სავარაუდოა, რომ ამ დაწინაურებული პიროვნების – თაყა სალუქვაძის შთამომავლები XVII საუკუნის II ნახევრიდან თაყაიშვილების გვარით ფიგურირებენ ისტორიულ წყაროებში. ისინი სოფ. აჭისა და დღევანდელ სოფ. ლიხაურის ტერიტორიულ რეგიონებს ფლობდნენ! აქვე სახლობს დღესაც მათი შთამომავლების უმრავლესობა – სალუქვაძეების მეზობლად! მთელი რიგი ადგილ-მამულებისა დღესაც თაყაიშვილების „ნაქონებ“ მიწებად მოიხსენიება. ისინი რევოლუციის შემდეგ მათ ჩამოერთვათ და სოფ. ლიხაურის მოსახლეობამ დაირიგა საკარმიდამო ნაკვეთებად. რუსეთთან შეერთების შემდეგ, სათავადაზნაურო სიაში მითითებულია: აზნაური თაყაიშვილები (იგივე სალუქვაძეები).

თაყა სალუქვაძის შემდეგ ისტორიულ წყარებში ფიგურირებს იოსებ თაყაიშვილი აჭის ეკლესიის წინამდღვრის რანგში, ხოლო „1726 წლიდან გიორგი გურიელის და დედამისის ელენე აბაშიძის ქალის სიგელით წინამდღვარ ნიკოლოზ თაყაიშვილს ებობა დიაკონი გაბრიელ პატიასშვილით“ (ალბათ, პატია სალუქვაძის ან პატია ანთელაძის შთამომავალზეა ლაპარაკი. ს.ს. (?)). აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფრესკებს შორის მოიხსენიება ვინმე „ონისიმე ტრაპიზონელი“, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის ვარაუდით, მხატვარი უნდა იყოსო, ხოლო ისტორიული პიროვნების ცოლ-ქმრის ფრესკის ბავშვით ამოცნობა და ვინაობის დადგენა დიმიტრი ბაქრაძის ცნობით ჯერ 1883 წელს ყოფილა შეუძლებელი.

ასეა თუ ისე, ჩვენ ოდითგანვე „კადამ აზნაურობისაკენ“ გვეჭირა თვალი, მაგრამ ჯერ იყო და, 24 წელს მოგვსრეს, 37 წელს გაგვასწორეს მიწასთან... შემდეგ II მსოფლიო ომში. მხოლოდ ლიხაურიდან 250-მდე შინმოუსვლელთა შორის 45 სალუქვაძეა, მათ შორის სამი მმა სალუქვაძე გრიშა სალუქვაძის ოჯახიდან რომ წავიდა, სახლში არცერთი ადარ დაბრუნებულა, კიდევ კარგი ნაბოლარა გური უასაკო იყო, თორემ იმასაც ალბათ ქერჩის მიწაზე მიაკლავდნენ. მართალია, სამსედრო წოდებით მარშლობა ჯერჯერობით ვერც ერთმა სალუქვაძემ ვერ მიიღო, არც საჭადრაკო ხელოვნების გროსმაისტერი გვყავს საგვარეულოში მაგრამ ჩვენს გგარს ამშვენებს გენერალ-მაიორი ამირან სალუქვაძე, ნატოს ეგიდით ბრიგადის გენერალი, ვაშა და დიდება ჩვენს საგვარეულოში პირველ გენერალ-მაიორ ამირან სალუქვაძეს.

მაგონდება ჩემი ავბედითი ბავშვობისდროინდელი სოფლის კაცების მწუხარებით გამონათქვამი ასეთი ფრაზა: „ოომა, ნიკო, ნაოსი და ჯარისმან სალუქვაძეები – ხალხის მტრებად მონათლულები, გააციმბირებსო“. ასეთი გასახლება მოხდა ოზურგეთის რაიონის სოფ. აჭიდან, ხოლო დედაქალაქ თბილისში მტკვარზე ვინაც კარგი ხიდი ააგო – „ჩელუსკინელებისას“ რომ ვეძახდით და ამჟამად თამარ მეფის სახელობის რომაა, იმის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ვასილ სალუქვაძე დახვრიტეს 1937 წელს, უნივერსიტეტის პროფესორი ლავროსი სალუქვაძე 37-ში დახვრიტეს!!! ასე იყო... ვისაც განსხვავებული აზრი ჰქონდა, ან საერთოდ, აზროვნება შეეძლო, „ხალხის მტერიაო“ და მიდიოი!! ხალხის რა მტრობა შეეძლოთ ყანის მთოხნავ გლეხებს და მეფუტკრებს?! მაგრამ, რა გაეწყობა: „ხომ იცი, საქართველო ყოველი კუთხით მტრიანიო“, იქნებ ვინმეს ვინმეზე უკეთესი ცხენი ჰყავდა, ან სულმოთქმული ცხოვრობდა, სახლ-კარის პატრონი იყო... ზარმაცხა და უქნარას საშუალება ეძლეოდა „ჩაშვების“ და ციმბირში გაშვების, ე.ი. მოუსავლეთში მიავლენდნენ. როგორ გადავრჩიო, საკითხავი, აი, ეს არის!!! თუ გადარჩენილები შეიძლება გვერქვას ჩვენ!

თუ ნებას დამრთავთ, სალუქვაძეების ნიჭსაც გავკრავ კბილს: დადიკო, აქვსენტა და მანასა უნიჭო ძმები რომ ყოფილიყვნენ, ხარის დახრჩობის ტრაგედიაზე იუმორისტულ,

მაგრამ მელოდიურობით სავსე სიმღერას ვერ შექმნიდნენ: „გურულების ოთხი ნანა“ რომ ჰქვია და მმები ერქომაიშვილების „შავი შაშვს“ რომ არაფრით ჩამორჩება. ისე ბატონი, სამ მმას ერთი უდელი სარისოვის კი უნდა მოეგლო და არ დაეხსრჩო!

უნიჭო გვარს ორი აკადემიკოსი, მინდია და რეზო სალუქვაძეები ვერ ეყოლებოდა. უთუოდ საამაყოა, როცა საგვარეულოს ამშვენებს სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, სილამაზის დედოფლის გვირგვინის მფლობელი ნინო სალუქვაძე, ორივე – წარმოშობით ლიხაურელი და ამჟამად დედაქალაქში მცხოვრები. გვარში არ გვაკლიან მეცნიერები, სწავლულები, კარგი საეციალისტები. ნათქვამია: „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

გვიყვარს პოეტი და სცენარისტი ანზორ სალუქვაძე, მამა სერგო (აწ განსვენებული) და შვილი მამუკა (პოეტები) გარდაიცვალნენ. სანუგეშოდ დაგვრჩა ლევან სალუქვაძე – უკვე სახელგანთქმული მოქანდაკეა.

უნიჭო გვარის წარმომადგეველი რუსთაველის პრემიას ვერ აიღებდა!

სალუქი – სპარსული სიტყვა ყოფილა და ნიშნავს კოხტას, მოხდენილს, ასევე, სალუქი ყოფილა ნაზი, ფაქიზი და ნატიფი – „სალუქი აგებულების ყმაწვილი“. – ჩემზე არაფერი იფიქროთ! ხატიას ნათქვამი მახსენდება: „სოსოია, შენ თუ ხარ ლამაზიო“. „არა, ხატია, მე მაიმუნი ვარო“.

დიდად დაზარალებულად მიმაჩნია გვარი, რომელთა რიგებს უდროოდ გამოაკლდნენ: ქალბატონი ეთერ სალუქვაძე, შოთა სალუქვაძე, ნოდარ სალუქვაძე. ასე გეგონებოდა, ნოდარს სიარული ლონდონის ლორდთა პალატაში ასწავლესო, ისე მოხდენილი ნაბიჯის გადადგმა იცოდა. სხვისი სიხარულის გამშვენიერება იცოდა ბატონმა შოთა სალუქვაძემ, მხატვრული გადაცემების მთავარი რედაქტორი რომ იყო ჩვენს ტელევიზიაში, ქალბატონ ეთერ სალუქვაძეს ჩემი დახასიათების გარეშეც კარგად იცნობდა დედაქალაქისა და რესპუბლიკის სახოგადოებრიობა. გულდასაწყვეტი იყო გურიაში მამა-შვილების: ვლადიმერ, სოსო და თამაზ სალუქვაძეების მიჯრით წასვლა ამ წუთისოფლიდან. ავტოკატასტროფაში დაიღუპა გიორგი (ჟორა) სალუქვაძე, ასევე, ტრაგიკულად დაიღუპა 20 წლის ჭაბუკი სპორტსმენი ზურიკო სალუქვაძე. ამდენი ორომტრიალის გადატანის შემდეგ, კვლავ მწყობრში ვართ სალუქვაძეები: გულდია სალუქვაძე ხუროთმოძღვრების მეცნიერებათა დოქტორია, მმა საყვარელ სალუქვაძე ოზურგეთში მოღვაწეობს, იუზა სალუქვაძე მანქანების გამართვის ბაზას ხელმძღვანელობს, თუმცა, ამ ბოლოს აღარაფერი შემოდის – მიუხედავად ამისა, ეს ბიჭი განსაკუთრებით უყვართ მმაკაცებს. ასევე, მისი მმა, მშენებელ-ინჟინერი ბუთხუზი სალუქვაძე, უპატიოსნესი ბიჭი, ოთარ სალუქვაძეს – ისეთი სასიამოვნო ტემბრის სმა ჰქონდა – აბსოლუტური სმენით, რომ მიკვირს: რაცომ პროფესიონალი მომღერალი არ გამოვიდა ჩვენი „ოთო“? დიდი ხანია, გურიაში გაზეთ „ალიონს“ რედაქტორობს ბატონი თამაზ სალუქვაძე, კაცი სინდისის, პატიოსნების, წიგნიერების და ობიექტურობის განსახიერება. მმობით და ურთიერთპატივისცემით გამოირჩევიან რეზო, ბადრი და ალბერტ სალუქვაძეები, ცნობილი კაცია კინოდოკუმენტაციებისტი მიშა სალუქვაძე, მისი უფროსი მმა სოსო სალუქვაძე, ამ საგვარეულოს გამოერია საამაყო პროფესორები: ბორის სალუქვაძე, გერონტი სალუქვაძე, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ სალუქვაძე, პროფესორი ნუგზარ სალუქვაძე და სხვები. ერთი წამალომცოდნეც სოკრატ სალუქვაძე გამოერია სალუქვაძეთა საგვარეულოს.

სშირად თავს ვეკითხები, საჭირო იყო, საერთოდ, ჩემი დაბადება ამქვეყნად, რომელსაც ჭირის, ვაივაგლახის და უსიამოვნო ფათერაგების გარდა არა მინახავს რა? ერთ განწყობაზე შეიძლება კაცმა ასეც იფიქროს, მაგრამ საქმე მოლად ასე არ ვახლავთ. 50 წელია, ხელში აზარფეშა მი-

ყურია, ვარ სუფრის თავში თამადის რანგში, შევექცევი ქართული კულინარიის კერძებს, სმენას მუდამ მიტებობდა ანზორ კავსაძის, ანზორ ერქომაიშვილის, ჰამლეტ გონაშვილის, რამინ მიქაბერიძის, ტარიელ ონაშვილის, ბონდო გუგავას და სხვათა მიერ შესრულებული „ჩაკრულო“, „მრავალეამიერი“ „ხასანბეგურა“ და სხვა სიმღერები. არ მაკლდა ჯემალ მდივანისა და ალიკო სომერიკის შესრულებით კლასიკური არიგბი, ქართლოს კასრაძის იუმორი და ოთარ რამიშვილის გიტარა. რადგანაც წამალომცოდნების ისტორიის I ტომით შევავსე საქართველოს ეროვნული ისტორიოგრაფია, ალბათ, საჭიროა ჯერჯერობით ჩემი სიცოცხლე, თუმცა ჩემს სამშობლოს უფრო კარგი ნობათი ეცულვნის, მე უმამოდ და მწირად აღზრდილმა მეტი ვერ შევძელი. თუ მიქაელმა და გაბრიელმა ნაადრევად არ მომაკითხეს, მოსალოდნელია ცოტა რამ კიდევ შევძინო ჩვენს სანუკვარ სამშობლო – საქართველოს. ისიც საქმეა, ზოგიერთი მტვრწაყრილი ფურცლები ახლებურად წარმოვაჩინო, ან რომელიმე თანამემამულეს, ან ხვალინდელ საქართველოს პატრონს – ლლაპს, დლეს დროულად დავეხმარო წამლით – იარაზე სალბუნად მოვკეთ... გაჭირვებაში გვერდში დაუდგევისაც უჭირს და ვისაც მივწვდები.

მაგონდება ასეთი რამ ანტიბიოტიკების გამოგონების ისტორიიდან: 1936 წელს ოქსფორდში პირველად გაუკეთეს პერიტონიტით დაავადებულ გოგონას პენიცილინი. ამავე წელს მამაჩემი სტეფანე სალუქვაძე სოფ. ლიხაურში სეფსისით გარდაიცვალა. ან ვინ ჩამოიტანდა ალბიონის კუნძულებიდან გურიაში პენიცილინს, მამაჩემი რომ გადარჩენილიყო? ამიტომ, თუ რაიმე შემიძლია, სიკეთეს ვთესავ დღენიადაგ, მაგრამ სიმონ გუგუნავასი არ იყოს: „ეგზომ კეთილს ვინ შეიძლებს ერი ერთხმად რომ აქებდესო“ და ვცდილობთ, მოვალეობის გრძნობა გვაწუხებს, გვამოძრავებს – თანაც სინანულის გრძნობა მეუფლება – მზესავით თბილ კაცს, ბატონ გიორგი სალუქვაძეს უფრო დიდხანს რატომ არ უნდა ეცოცხლა?

სოფ. ლიხაურში ამჟამად ორი მმა: სერგო და ნუგზარ სალუქვაძეები სახლობენ, აქეთა მათი მმისშვილი თამაზი – ვარგებული ბიჭი, მიხეილი უკვე გარდაიცვალა. შეგიძლიათ ამ ოჯახებში საერთაშორისო სტუმარი მიიყვანოთ. ნახეთ ქართული სტუმარ-მასპინძლობა როგორი უნდა იყოს!!! კარგი მასპინძლობა შეუძლიათ როლანდ სალუქვაძეს და რეზო სალუქვაძეს, პოეტმა და უურნალისტმა თამაზმა რომ ხუმრობით „ყურცებიტ გეორგევიჩი“ შეარქვა. პატიოსანი და კეთილშობილი კაცი იყო შოთა დომენტის ძე სალუქვაძე, რომელმაც ხანძრის ჩაქრობაზე გმირობა გამოიჩინა. მისი გამურული ბიუსტი სახანძრო მუზეუმშია. ჭალარა, მაღალი რეზო სალუქვაძე ბანდიტებს შეებრძოლა თვითმფრინავში და მისი ვაჟკაცობაც ჯეროვნად დაფასდა.

კვაჭალათზე შეგიძლიათ ეწვიოთ ბატონებს: ვაჟას, ვაჟას, შუტუს, გურის, მიშას ოჯახს, რეზოს, მამიას, „გვადის“ და სხვებს. „სტუმარს დგთისკაცად“ თვლიან სალუქვაძეები. წავიდნენ ამ წუთისოფლიდან შუტუ და მიშა სალუქვაძეები. დაგვიტოვეს სევდა და დიდი წუხილი, გვიმმიმს მათ გარეშე ამ წუთისოფლებში ყოფნა.

ბაბუა ამბაკოს მარანში „მძევლად“ არის ნუგზარ სალუქვაძე, სამი შვილის და ცხრა შვილიშვილის ბაბუა, პური და ღვინო მუდამ აქვს, თუ მოახერხა, ურმის ბორბალს დაწვავს და მწვადს ისე შეგიწვავსო... ასე ამბობენ მასზე.

ამბაკო ბაბუას ხუთი მმა ჰყავდა: ალექსანდრე, ერასტი, მიხეილი, იოსები და მათე. მათეს შვილის ბადიში გახლავთ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ხოლო 1990 წლის სიღამაზის დედოფლად აღიარებულია ნინო როლანდის ასული სალუქვაძე, ხათუნა სალუქვაძე კი საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩია.


ჩემი პროფესიული მოვალეობაა, დავეხმარო განსაცდელებში ჩავარდნილ ადამი-

ანებს. პროფესიის გარდა, ჩემი ბუნებაც ამას მკარნახობს, ყოველ ცისმარე დღეს ვეკითხები საგუთარ თავს, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?

დალოცვილნი იყავით სალუქვაძეები ყველგან. ღმერთმა სულ დაფასებულად გვამყოფოს ჩვენივე კეთილი საქმიანობით, კაცურ კაცობითა თუ წმინდა მანდილით, ჩვენი შვილიშვილების სულ უფრო ამაღლებისთვის, საქართველოს კეთილდღეობისთვის.

თქვენზე რუდუნებით და სიყვარულით

სოპრატ სალუქვაძე



ეხ, დიდო აკადემიკოსო ჩვენო
რეზო, ძალიან გვიმძის უშენოდ ამ
წუთისოფელში

გურია

ვეძღვნი ბ.-ნ სოკრატ სალუქვაძეს

შენი მთები, შენი მდელო
სანახავად საამური,
შენი ჰანგი, სხვანაირად
აკვნესილი სალამური
იუმორში გამოზრდილი
შენი ჯიში, შენი ხალხი,
უფლის ხელით მოქარგული
ეზო, ყურე,
ბაღი, სახლი.
ენის წვერზე
შაშვებ დაისვამ,
სიტყვაც გშვენის
არნახული
შენი სიტყვა
გაბედული,
მხოლოდ ღმერთთან ნამსახური,

მუდამ ცისკენ ამზირალი,
შენი თავის გამგებელი,
არავისოთვის დამნაშავე
არც არავის ბრალმდებელი.
ღმერთთან ახლოს ბახმაროა
ნაძვნარი და მზით ნაფარი,
ვის უნახავს, ვის სმენია,
მეთოვლია სხვა ამფერი?!
შენს უბეში გამოზრდილი,
პირველობას მიჩვეული,
ყველა ქალი ლამაზი და
ყველა კაცი ღვთის რჩეული.
შენი ენის კილოკავი
გურიის მთებს მიჯაჭვული
და სიმღერა იმ მთებივით
დახვეული კრიმანჭული.

ნუნუ იობიშვილი-ღლონტი

2000 წ

შოპენის ბადში შაშვი გადლობდა

ბევრი კიარე ადამ შიცევებისა და ფრედერიქ შოპენის სამშობლოში... მოვინახულე კარ შავის განთავისუფლებისათვის დაცემულ გმირთა საფლავები... შემდეგ შოპენის სამთხოის ბაღში აღმოვჩნდი... გაეცერი შოპენის ტბას... განუზომელი ყოფილა შოპენის მუსიკის შთაგონების ძალა... იგრძნობა იგი მოქანდაკე-არქიტექტორის სულ შიაც, შოპენის რომ ძეგლი დაუდგა... ქარი ქრის... თითქოს ემტერევა ტოტები ძეწნას... იგი ხომ აქ, შოპენის “უელეზნოვა კოლადან” მოვიდა, სადაც დაიბადა ფრედერიქ შოპენი. ძეწნა იხრება და ეთმობზიტორს ეალერსება იმებზე... ტებილი ჰანგების მეფე თავისივე სტიქია შია. თითქოს ტბის ტალღები თრექსტრის წევრებიათ. გარეული იხვები ნოტებივით დაცურავენ შოპენის ტბის ზედაპირზე... უფრო სწორად, მისი უსაზღვრო მუსიკის ოქანეში. ამ დროს ტბაში კიდევ ერთი გარეული იხვები ჩაფრინდა ზეციდან... ძეწნის ტოტებზე მტრედები სხედან, შეღის ნუქრის ყველი მოუდერებია... მარცხენა ხელის მტევანი მარათსებრ გაუშლია, წინ წამოუწევია... მარჯვენათი კი, თითქოს ტებბრს აწესრთებსო, დირიჟორობის საეუთარ ჰანგებს... უკრავს ხან ეროვნული ეტოუდის მგზნებარე მელოდიებს, ხან ნამდვილი პოლონეური გაზაფხულის სიმღინიას და ეს მუსიკა მარტო შოპენის პოლონეზი როდია... იგი მსოფლიო სიყვარული და პუმანიზმია, რომელიც მზესავით ათბობს კაცობრიობას




და ყინულივით ალღობს ეგთიზშს. ბოროტების სახით კიდევ რომ შემორჩენილა ქვეყნად! აუქ, რა ძალაა ამ ტებილ ჰარმონიაში... გაზაფხულია, აი, ისეთი, ჩვენთან, საქართველოში რომ იცის ბუნებაშ გამოღვიძებისას... მრავალ ჭირნახულ ქართველი კაცის შთამომავალს ავიწყდება ქრწანისის სევდა, ბაგრატიონის ცრემლი ბოროდინოს ეელზე, მამლუქის უქანასკნელი ამოძახილი “ეაი, დედა”, ქერჩის მიწა. წმინდანები ჯოჯოხეთში და შაში მგაღლობლის მელოდიას საეუთარ ღიღინს მეუერთებს... აი, ცაცხეის ფოთლებში გაღობს შაში... თუ ცოტას მოიცდით, შეჩერდებით, ბუღბუღლისა და ვარდის დუეტი ჩაგესმებათ სულ ში, ძვალ შიაც გაგატანთ. ქართული გულისცემა უერთდება პოლონეურ შოპენურ გაზაფხულს... ცა ღურჯია, ირგვლივ სიმწვანეა, იღიმება გამოღვიძებული ბუნება. ის-მინე, ვარ შავის ცათ ეედრება ჩემი: იგუგუნე, სიკეთევ, დედამიწაზე, იშრიალე, მადლიანო გაზაფხულთ! უეცრად იხვები დაფრთხენენ, წამოიშალნენ და სადღაც მიმოიფანტნენ. მტრედებიც თვალს მოეფარნენ... ფრთხილად, ადამის მოდგმავ, აღარასდროს თსვენციმი და ბუხენვალდი! ევლაც მოფრინდნენ მტრედები, დასხდნენ ძეწნის ტოტებზე. სმენას კელაც შოპენის პოლონეზი ატებობს. მრავალეამიერ, ადამის მოდგმავ, მრავალეამიერ!

ართზაული ჩანახატი სოკრატ სლუქტაძისა

სოკრატ სალუქვაძე და მისი მეგობრები

„მითხარი, ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი, ვინ ხარ შენ“
სალხური



ეს პიროვნება გახდავთ ობლობაში გაზრდილი ბიჭი გიზო ბაქანიძე, ოზურგეთის რაიონის სოფ. ჭანიეთიდან. მამამისი, დიმიტრი ერმილეს ძე ბაქანიძე სტალინგრადის მისადგომებთან ბრძოლაში დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ამ ობოლმა ბიჭმა, გიზომ, მისაღები გამოცდები ზორებინსტიტუტში პროტექტორის გარეშე ჩაბარა და ისე დაამთავრა ინსტიტუტი, „ნუთიანზე“ ნაკლები შეფასება არც ერთ საგაში არ მიუღია. იგი ი. სტალინის სახელობის სტიპენდიანტი იყო, 450 მანეთ სტიპენდიას ღებულობდა. გიზო დიდ ზეგალენას ახდენდა ჩემს ცნობიერებაზე. მას მკაცრად პქონდა გამომუშავებული წიგნის წაკითხვის, საგნის მომზადების და წიგნის ანალიზის უნარი. მან მომაშადა მისაღები გამოცდების ჩაბარებისათვის და თუ არა მისი მკაცრი მოთხოვნები, უმაღლეს ფარმაცევტულ განათლებას ვერ მიეიღებდი... ამის გარდა, ჩემი მამიდაშვილი (დედამისი ალექსანდრა ამბაკოს ასული სალუქვაძე პედაგოგი გახლდათ!), გიზო არ მაკლებდა კინო-თეატრებში წასასვლელ ბილეთებს, ოპერისა და ბალეტის და სხვა დრამატულ თეატრებში საპრომისრო სპექტაკლების უნახავს არ მტოვებდა, „დინამო“-ს სტადიონზე საფეხბურთო შეჯიბრებების შემდეგ კი, დადიანის ქუჩაზე სარდაფში ხინკლებს დაუჭარნიკებდით და კათხა ლუდსაც დავაყოლებდით. არც ექსკურსიებზე წაყვანა მაკლდა მისი შზრუნველობით რა ვუთხარ ხელმოკლეობას და ეკონომიკურ უსახსრობას, თორემ ბატონი გიზო ბაქანიძე დღეს მეცნიერებათა დოქტორის დიპლომის მფლობელი უნდა იყოს! აუამად ის მხოლოდ პენსიონერი ზოოტექნიკოსია, შეძლებული ოჯახის მეთაურია გურიაში და რამდენიმე პექტარი შემოსავლიანი მიწის არუნდატორია.

ასე იხსენებს და გადმოგვცემს, თვისი ნათესავისა და მეგობრის პორტრეტულ შტრიხებს სოკრატ სალუქვაძე.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან არსებული ხარისხის მიმნიჭებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ეფურ ქემერტელიძე.
მარცხნივ: ხარისხის მიმნიჭებული სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდიგარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დურმიშხან ტურაბელიძე.



იოველ ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წამალობექნოლოგიის კათედრის გამგე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიოსამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ხარისხის მიმნიჭებული სამეცნიერო საბჭოს წევრი ბატონი
ალიკო ბაკურიძე




მარცხნიდან მარჯვნივ: ქ. თბილისის ფარმაცევტული ქარხნის თანამშრომელი (სახელი უცნობია), ი. ქუთათელაძის სახ ფარმაკო ქიმიის სწავლული მდივანი გია ერქომაიშვილი, სოკრატ სალუქვაძე, აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე, ვარდენ სეფიაშვილი, მიხეილ ქარჩხაძე, ავთანდილ გოცირიძე. სურათი გადაღებულია ვერის ბაღში, ფარმაცევტული ყრილობის სხდომის დაწყების წინ..

ჩემო მმაო სოკრატ!

დოკუმენტურ ფილმში გნახონ, ვინა ხარ!
ახალ აფთიაქში გნახონ, ვინა ხარ!
აბა, ლისაურში გნახონ, ვინა ხარ!
„ჯამით ტოლუმბაში“ გნახონ, ვინა ხარ!
და შენს მზეოჯახში გნახონ, ვინა ხარ!
შენი თხზულებებიც ნახონ, ვინა ხარ! –
და დარწმუნდნენ შენს დიდ ქართველობაში!

იმედად და სისარულად მინდისარ!
თუნდაც მოგვდე, მაინც წამლად მინდისარ!


ზაურ ბოლქვაძე
1992 წლის 1 მარტი.



ტელეფილმების სტუდიის დირექტორის მადგილე საწარმოო დარგში,
ტელეფილმის „მითი და რეალობის“ გადაღების დირექტორი, ამჟამად პენსიონერი
ბატონი ოთარ ტაბაღუა



ტელეფილმის „მითი და რეალობის“ გადამლები ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ); სცენარის ავტორი
და რეჟისორი თამაზ კონტრიძე, ოპერატორები: ტრისტან ქანდელაძე და ნოდარ ნამგალაძე,
სოკრატ სალუქვაძე (ფილმის ტექსტის წამყვანი), რეჟისორი გაგიუ ტყაბლაძე და
ოპერატორის ასისტენტი რაიბულ კასრაძე.



უარმაცევებულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ ცაგარევიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა კრონცული აკადემიის ი. ქუთათებაშის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დოკტორის მოადგილე სამეცნიერო პრიზი, სოკრატის მეცნიერ-ხელმძღვანელი, რომელმაც ფარმაციული გაული მაღრაც ჩარჩოზე კარები მეცნიერებაში და მის ხელმძღვანელობით, ხარისხის მიმრიცხებული სამეცნიერო სატჭოს 15-ივ წლის დადგენით სტეპათ მოიპოვა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გმხდლობით ჩემი სულიერო მეცნიერო ბატონი გურამ! – მადლიერების გრძილებით ასე მიმართავს ჩემი სოკრატი თავის უფროს კალეგას და მეცნიერ ხელმძღვანელს.



მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ყოფილი უფროსი

მამუკა გორგოძე.

სოკრატ სალუქვაძე იხსენებს: ოოცა ვაკის რაიონის რ/ც №27-ე აფთიაქში ზურგსუკან მოწყობილი შეთქმულებისა და დალატის გამო ფეხი ამომიკვეთეს, ჩემი კოლეგა, მამუკა გორგოძე აღმოჩნდა ის თანამემამულე, ოომელმაც უდანაშაულობის პრეზუმუციის გამო აღმადგინა ჯერ ჩემს უფლებებში და შემდეგ გადამიყვანა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის რ/ც-ის №1 აფთიაქის მმართველად.

თუ არა ასეთი გაბედული გადაწყვეტილება, ეს აფთიაქი არ გამოცხადდებოდა მუზეუმად.

არც №1 აფთიაქი-მუზეუმის შესახებ მონოგრაფია გამოიცემოდა.

ასეთი მეგობრული მხარდაჭერის გარეშე სადისერტაციო ნაშრომსაც ვერ წარვუდგენდი სამეცნიერო საბჭოს. დიდად გმადლობთ, ყველაფრისათვის, ბატონო მამუკა.

სამწუხაროა, მაგრამ არამარტო მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უწყება გააუქმეს, არამედ ქ. თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმიც მიაყოლეს „პრისტიატორებმა“



მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ყოფილი უფროსი

გურამ ხანთაძე

სოკრატი იხსენებს: ბატონი გურამის კაბინეტიდან უარით არსდროს გამოვსულგარ. ერთ დღეს მასთან 14 დასახელების დეფიციტურ წამალზე 14 რეცეპტი შევიტანე სარეზოლუციოდ. მედიკამენტების შეძენის საკითხი დადებითად გადაწყდა. შემდეგ კი ბატონ გურამს ასე უთქვამს ქოლეგისათვის: “10 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ვერაფერი გაგიკეთე, სანამ ძალაუფლება ხელთა მაქვს, მითხარი, რომელი საკითხი გადაგიწყვიტო დადებითად. სოკრატი რისი სოკრატი გახდავთ, ჯისები აასუხისთვის ხელის ჩაყოფა თუ დასჭირებოდა. მას გურამისთვის ასე უთქვამს: წიგნი მაქვს დაწერილი წამალთმცოდნეობის ისტორიის საკიხებზე, თქვენ მირედაქტორეთ და გამსახურმში მომეცით წერილობითი შუამდგომლობა, რომ ეს წიგნი, შეკვეთის წესით, დაისტამბოს და მერწმუნეთ, წიგნის გამოცემა რენტაბელური იქნება. პონორარის გაცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანი მოგებაც დარჩება მთავარ სააფთიაქო სამმართველოს. ბატონ გურამს პასუხად მიუგია: ‘შემანქანე მბეჭდავთან მიდი, მწერალ ელგუჯა მაღრაძის სახელზე შუამდგომლობის ტექსტი უკარნახე. ერთი ეგზემპლარი ბლანკზე ზედმეტი დაბჭედე, ჩემთან მოიტანე ხელმოსაწერად, შემდეგ კანცელარიაში რეგისტრაცია გაუპეო, ერთი ცალი გამსახურმის კანცელარიას ჩააბარე, ერთი – ჩემი ფაქსიმილეთი სახსოვრად შეინახე შენს პირად არქივში, ხოლო ყუა კანცელარიაში საბუთად დატოვე. მეგობრული მსარდაჭერით ასე გადაწყვეტილა ს. სალუქევაძის ფუნდამენტური მონოგრაფიის გამოცემა.



ბატონი თემურ ეგეტაშვილი – უადრესად დადებითი პიროვნება, ხუთი შვილის მამაა. ჩვენი სოკრა-
ტის მომდევნო თაობის წარმომადგენელი. რომელმაც, დედაქალაქის №1 აფთიაქ-მუზეუმს კომ-
პიუტრი “პენტიუმ – 4” შესწირა, თანახმად დევიზისა: “რომ გაშალო ოცნებათა, ლურჯი იალქნები”...



თანაკურსელები რეზო მურლულია და სოკრატ სალუქვაძე ქ. ფოთში.
დააკვირდით ფოტოდოკუმენტს, სოკრატი თურმე სიგარეტს ეწეოდა!



ქართველთა შორის პირველი ბუნებისმეტეველებათა მეცნიერების დოქტორის ივანე რამაზის ძე თარხნიშვილის ძეგლი დგას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში. ვაჟა-ფშაველას გამზირზე (№37). ძეგლის აგტორია კოტე მერაბიშვილი. სოკრატ სალუქვაძე თითქოს თავს უფლებას აძლევს, საპატიო ყარაულში, რომ იდგეს და ნატრულობს, იქნებ გენერალსოს ფარმაციის პირველი მაგისტრის ივანე სოფორომის ძე ტყეშელაშვილის ბიუსტიც მისივე სახელობის ქუჩაზე! რა გაეწყობა, ოცნებას კაცი არ მოუკლავს! იქნებ ეს დროც დადგეს..?



ჩვენი მეგობარი სოკრატი ვარაზის სხევში, აკადემიკოს კორნელი გეგელიძის სახელობის ქუჩაზე ცხოვრობს და ზოგჯერ ქობულეთის აღმართის გვერდის ავლით მრგვალი ბაღისაკენ ქვეითად, თავისი აღმზრდელის, აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის ქუჩით მიემგზავრებოდა ვაკის რაიონის რ/ც №27-ე აფთიაქისაკენ. ზოგჯერ მანქანით ჩაუქროლებდა მრგვალ ბაღში დადგმულ რაფიელ ერისთავის ძეგლს. ხომ გახსოვთ, რა გვიანდერმა დიდმა პატრიოტმა: “არ გავცვლი, მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა, სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორნივ ტკბილია მმობილო, მირჩვნის ორთავ თვალზედა”. სოკრატ სალუქეგაძე სიამოგნებით იხსენებს ბატონ პეტრე გალბახიანს, რომელმაც დააარსა საქართველოში მეცნიერული ფარმაციის უუძემდებლის, აკადემიკოს ი. ქუთათელაძის სახელობის ეს ქუჩა... სოფელ გაშლიჯვარში, ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ეზოში დგას დიდი მეცნიერის, იოველის ძეგლი. სურათზე სწორედ ამ ძეგლთან საბატოო ფარაულში დგას სოკრატ სალუქეგაძე, ბატონი იოველის ყოფილი სტუდენტი და ამჟამად დედაქალაქის №1 აფთიაქი-მუზეუმის ამჟამად უკვე ყოფილი დირექტორი. ყოველი სტუდენტი თავის თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ ჯეროვანი პატივი მიაგოს საკუთარ აღმზრდელს.



ჩვენს სოქრატს ქეიფის დროს მალიან უყვარს ტიციან ტაბიძის “ლექსი მეწყერის” წაკითხვა. ავადსახსენებელი “37”-ის წყალობით, ქართველ ხალხს დაეკარგა ტიციან ტაბიძის საფლავი, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს ისდა დარჩენიათ, ტიციან ტაბიძის ბიუსტთან დადგნენ საპატიო ყარაულის რანგში და ხმამაღლა წარმოთქმან: “დაგბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედ-გას უდელი, მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ, დაგრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი”.



ქართველ მწერალთა ძეგლები LES MONUMENTS DES ÉCRIVAINS GÉORGiens



1987

ნოემბრი - JANVIER

და.	5	12	19	26	LUN
და.	6	13	20	27	MAR
და.	7	14	21	28	MER
და.	8	21	22	29	JEU
და.	9	18	25	30	VEN
და.	10	17	24	31	SAM
და.	11	18	25		DIM

გეორგიუს II მარტი - FÉVRIER

და.	2	9	16	23	LUN
და.	3	10	17	24	MAR
და.	4	11	18	25	MER
და.	5	12	19	26	JEU
და.	6	13	20	27	VEN
და.	7	14	21	28	SAM
და.	8	15	22	29	DIM

გეორგიუს III მარტი - MARS

და.	2	9	16	23	30	LUN
და.	3	10	17	24	31	MAR
და.	4	11	18	25		MER
და.	5	12	19	26		JEU
და.	6	13	20	27		VEN
და.	7	14	21	28		SAM
და.	8	15	22	29		DIM

გეორგიუს IV აპრილი - AVRIL

და.	6	13	20	27	LUN
და.	7	14	21	28	MAR
და.	8	15	22	29	MER
და.	9	16	23	30	JEU
და.	10	17	24		VEN
და.	11	18	25		SAM
და.	12	19	26		DIM

გეორგიუს V მაისი - MAI

და.	4	11	18	25	LUN
და.	5	12	19	26	MAR
და.	6	13	20	27	MER
და.	7	14	21	28	JEU
და.	8	15	22	29	VEN
და.	9	16	23	30	SAM
და.	10	17	24	31	DIM

გეორგიუს VI ივნისი - JUIN

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM


და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18	25		JEU
და.	5	12	19	26		VEN
და.	6	13	20	27		SAM
და.	7	14	21	28		DIM

და.	1	8	15	22	29	LUN
და.	2	9	16	23	30	MAR
და.	3	10	17	24		MER
და.	4	11	18			



საბჭოთა კავშირის გმირმა, ხუროთმოძღვართა კოედრის გამგემ, პროფესორმა, ქაგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ. ბატონმა ირაკლი ციციშვილმა სოკრატის წინადადებით გარმიაში წამლის სასახლე აფთიაქი მუზეუმი-ნაკრძალად გამოაცხადა, ხოლო წინარეხში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებისათვის თანამშრომლები დაასაქმა: ბაადურ მჭედლიშვილი და ლალი ახალაია. წინარეხში მაღალაძეების აფთიაქის ნანგრევები აღმოჩნდა. კონსერვაცია და რესტავრაცია ვეღარ მოესწრო, მაგრამ რაც მოესწრო, ერის ამ კაცის ხელშეწყობით მოხერხდა.



მწერალი თამაზ ჭილაძე და წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე
სამშობლოს უკეთეს მომავალზე საუბრობენ.



ჩვენი სოკრატი მსოფლიოს ხუთგზის ექსჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილსა და გროსმაისტერ ნინო გურიელს საკუთარ წიგნს ავტოგრაფით მიართმევს.



მსახიობი თენგიზ არჩევაძე და წამალომცოდნე სოკრატ სალუქვაძე.



საქართველოს სახალხო არტისტები: გიგი ჭოხონელიძე და პამლეტ გონაშვილი,
შემდეგ სოკრატ სალუქბაძე და ოთარ ტაბაღუა.



მეურნალი გოვა დავითაია და წამალომცოდნე სოკრატ სალუქბაძე.




რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი და სცენარისტი ანზორ სალუქვაძე და სოკრატ სალუქვაძე.



ცნობილი ხუროთმოძღვარი, პროფესორი გულაძა სალუქვაძე და
წამალომცოდნე სოკრატ სალუქვაძე.



ბატონი გურამ ცაგარეიშვილი თავის თანამშრომლებთან ლაბორატორიაში.



შოთა რუსთაველისა და ლენინური პრემიების ლაურეატი ნოდარ დუმბაძე და წამალომცოდნე სოკრატ სალუქვაძე.



მეორე რიგში სოკრატ სალუქებაძე (მარჯვნიდან მეორე პოტე შვანგირაძის გვერდით)
თანაკურსელებთან ერთად.



სოკრატ სალუქებაძე თანაკურსელებთან ერთად (მარცხნიდან მეოთხე რიგში პირველი).



ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლთან მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: პროფ. იოსებ მეგრელიძე, აკადემიკოსები: რეზო სალუქაძე, ოთარ ჯაფარიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მერი ფირცხალავა (რეზო სალუქაძის მეუღლე), სოკრატ სალუქაძე, პროფ. გარლამ დონაძე, ძეგლის არქიტექტორი რობერტ გოგოლიშვილი.



“არტოს ბაღშია” ეს სურათი გადაღებული. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: სოკრატ სალუქაძე, პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ზურაბ ქაფიანიძე კულტურის სამყაროს წარმომადგენლებთან ერთად.. ეს სურათი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ალბომში ს. სალუქაძე წარმოადგენს დოკუმენტურ ფოტოსურათებს, რომლითაც ადასტურებს, რომ ი. აბაშიძიდან დაწყებული გრიგოლ აბაშიძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, შოთა ნიშნიანიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, გურამ ფანჯიკიძესთან, თამაზ წიგწიგაძესთან და მაყვალა გონაშვილთან – ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მწერალთა კავშირის თავმჯდომარებთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და აკავშირებს.



№1 აფთიაქ-მუხეშმის ჭინ (მარცხნიდან მარჯვნივ). სოკრატ სალუქვაძე, შალვა გიორგაძე, თამაზ სხულუხია, ბორის სალუქვაძე, ვაჟა წიქარიძე.



მარცხნიდან მარჯვნივ: ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბილიარდის თამაშში გიგი ქობოსიძე, ყოფილი მსოფლიოს ექსტემაიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე, წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე, გროსმაისტერები ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი.



იყალთოს აკადემიაში “შოთაობაზე” ვეფხისტყაოსნიდან ნაწყვეტებს ზეპირად კითხულობენ პოეტი შოთა ხოდაშნელი და წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე.




უალრესად კეთილშობილი ქალბატონი თინათინ ჭიჭინაძე-პატიაშვილისა თბილისის №1 აფთიაქში ხშირად მოგვმართავდა დედის სამკურნალოდ გულსისხლძარღვთა დაავადების პრეპარატების შეძენისათვის, ჩვენც მუდამ მოწოდების სიმაღლეზე გიყავით. იხსენებს სოკრატ სალუქვაძე.



სტუმრად მხატვარ კობა გურულის სახელოსნოში პოლონელ სტუმრებთან ერთად.



მწერალი ნოდარ დუმბაძე სტუმრად ქ. თბილისის №27-ე აფთიაქის თანამშრომლებთან. მარცხნიდან მარჯვნიგ: ციცო მარშანია, ნინო ნასყიდაშვილი, სოკრატ სალუქაძე, ბატონი ნოდარ დუმბაძე და ანერი (გვარს ვერ იხსენებს).



ჩვენი სოკრატ სალუქაძე ეჭვისთვალით შესცემის აწმეოს და უფრო კარგ მომავალს ელოდება. ამას გკითხულობთ მის თვალებში.



სოკრატ სალუქვაძე ქ. ლენინგრადში. 1961 წელი.

შენიშვნა: წიგნის გამოცემა დაგვიანდა, ამიტომ ზოგიერთი წარსული თითქოს აწმყოშია წარმოდგენილი და შემდგენელ-რედაქტორი ბოდიშს უხდის ჩვენი სოკრატის არაერთ მეგობარს, რომელთა ფოტოსურათების გამოქვეყნება ამ წიგნში ვერ მოხერხდა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალიაო, ესეც ბრძენთაგან თქმულა.




სამედიცინო ინსტიტუტის საქმაოდ მძიმე ლერბი (თაბაშირში), ჰიგია დამბაქიდან გველს რძეს რომ
ასმეგს, პირველი მაისის ზეიმ-დღესასწაულზე მიაქვთ სტუდენტებს: ომარ ნემსაძეს და
სოკრატ სალუქევაძეს.



წარსულის გახსენება

თბილისის უმველეს – 177 წლის ყოფილ 28-ე და ამჟამად შ.ა.ს. “დაგითის” აფთიაქის საასისტენტო-
ში თანამშრომლებთან ერთად, დგას – საქართველოს დამსახურებული პროვიზორი ნოე არევაძე.



„ჩაფიქრებული სოკრატ სალუქევაძის პორტრეტი“ მხატვარი ანდრო ბოჭოიძე.



გინოდობუმენტალისტი, რეჟისორი უანი მიქაძე და წამალთმცოდნე სოკრატ სალუქევაძე.




თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები: პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): 1. ვარდო გვარს ვერ იხსენებს. 2. ნათელა სალამაძე, 3. ვერ იხსენებს. 4. დოდო ჯაყელი, 5. გგარ-სახელს ვერ იხსენებს. მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: სარდიონ ბულაშვილი (ინგილო), ჯემალ ყიფაინი, ზორა ჯაფარიძე, ლია მიქაბერიძე, შოთა გუხალაშვილი, ზინა ქოჩორაძე, ფლორიდა შურლაია, ნელი ციცხვაია, მერი ეპიტაშვილი, სოკრატ სალუქებაძე. გადაღებულია 1955 წელს, ფოტო ნოდარ დევიძისა. ფოტოსურათი მოგვაწოდა საკუთარი არქივიდან წამალომცოდნე სოკრატ სალუქებაძემ.



მეგობრები: მელვინე, პენსიონერი გრიშა ნიკოლაიშვილი და წამალომცოდნე სოკრატ სალუქებაძე.



ეს სურათი ჩვენი სოკრატის ცნობიერებაზე შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა და ამჟამადაც ახდენს. 1936 წლის 30 იანვარს 31 წლის ასაკში სამუდამოდ გამოგვითხოვა სტეფანე ამბაკოს ძე სალუქაძე. ქალბატონ ლუბას ფიცი დაუდვია; “ცალულელაში გაგზრდი შვილს ისე, ორმ სოფელს გამოადგესო”. დაგსძენდით, ორმ ჩვენს დარგსაც ნამდვილად კარგ შვილად გამოაღვა სოკრატ სტეფანეს ძე, ორმელიც მამის გარდაცვალებისას 8 თვესა და 18 დღის ყოფილა.



ეს სურათი 1936 წლის მარტის პირველ დეკადაში უნდა იყოს გადაღებული. სოკრატის ბიძა, სიძის სტეფანე სალუქაძის გარდაცვალებას გლოვობს წევრმოშვებული. სოკრატი ამბობს, ორმ დაბადებიდან მარჯვენა ხელზე, ჟველა თითო ჰქონდა, ამიტომ ეს სურათი მნიშვნელოვანი ფოტოდოკუმენტია. ობოლ დისტანციაზე ბიძა გერმანე მუავია არაფერს აკლებდა. სოკრატისთვის 100 მანეთი მიუცია და ასე უთქვამს: “ამ ფულს სესხად გაძლევ, ცოლ-შვილს გვიან მოვეკიდე და ჩემი შვილები თუ მშიერი ნახო, ხმელა პური მაინც მიჰმიეო”.



უარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები: ქალბატონი მერი მუჯირი და სოკრატ სა-ლუქვაძე, მოსკოვში – წითელ მოედანზე. – 1965 წელი.



ამ ფოტოსურათზე ძმაპაცები – ირაკლი უჩანევიშვილი და სოკრატ სალუქვაძეა აღბეჭდილი. ერთხელ, ისესენებს წამალთმცოდნე, ამბორსი და პეტრე ჯიბლაძეებთან ერთად საქეიფოდ კოჯრის გზას გაუდექით. ბაგებში ირაკლი უჩანევიშვილს გაფუარეთ, გიტარა წამოვალებინეთ და გზა გაფაგრძელეთ. რესტორანში მამა-პაპურად ვიქეიფეთ. შეუა პურის ჭამაში, ირაკლიმ გიტარის სიმებს ჩამოჰკრა და დაალილინა: “ასეთია, ჭურდი კაცის ბედი”. ქვიფის დროს კოჯრელი ტლუ ბიჭი შემოგვიერთდა, სამი ჭიქა დვინო სულმოუდქმელად დალია. შემდეგ კი მზერა მეგიტარეს მიაპყრო და ასეთი ფრაზა წარმოთქვა: “შენ კარგად მდერი, მაგრამ ირაკლი უჩანევიშვილი მაინც გჯობიაო”. ამაზე სულ ცოტა სამი თვის განმავლობაში ირაკლისთან შეხვედრისას ყოველთვის გხარხარებდით. “შენ კარგად მდერისარ, მაგრამ ირაკლი შენზე უკეთესად მდერისო”. დიდი და ნიჭიერი მსახიობი იყო ირაკლი უჩანევიშვილი. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.



ანზორ, გია და სოკრატ სალუქვაძეები სასტუმრო „საქართველოს“ წინ.



ამ ჯეოშფის წევრებმა პირველებმა შეადგინეს ქადლის ვიზუალური კალენდარი სამედიცინო ოქმაზე. მარცხნივ მარჯვნიდან: გიგი საყვარელიძე, სოკრატ სალუქვაძე, ელუარდ გიგილაშვილი, გიორგი ავსაჯანიშვილი და რედაქტორი თენგიზ ჭყონია.



ქ. თბილისის №1 აფთიაქი—მუზეუმის ინტერიერი.
ამჟამად უგვე გაუქმებული.



ფარმაცევტული ფაკულტეტის თანაკურსელები: მარცხნიდან პირველი — სოკრატ სალუქეაძე, გენრი დეგანოსიძე და დოდო ჯაყელი. მეორე რიგში — ჯემალ ყიფიანი, სულიკო ხუნდაზე, ბონდო გუნჯუა და ნათელა კიბიძე.



სოკრატ სალუქევაძის მეუღლე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი – ქალბატონი
მერი მუჯირი.



ყველა ახალშობილი ანგელოზია, მათ შორის – ბატონ სოკრატ სალუქევაძის ერთადერთი ქალიშ-
ვილი – თამარ სალუქევაძეც ულამაზესი ბავშვი გახდათ. იგი ამჟამად ორი ულამაზესი შვილის –
ლევანიკოს და პატარა სოფოს დედაა.



მწერალი გრიგოლ აბაშიძე და წამალთმცოდნე სოქრატ სალუქევაძე. სურათი გადაღებულია კასპის რაიონის სოფელ გავთისხევში გიორგი შატბერაშვილის ხსოვნის 80 წლისთავზე.




ჩვენი სოკრატის მამიდაშვილი ავტოინჟინერი
გაუა წიქარიძე.
ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს.



მარცხნიდან მარჯვნივ პროფესორი იოსებ ქურჩიშვილი, ყოფილი საბჭოთა კაგშირის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი – ბორის დიმიტრის ძე პეტროვი. როცა სოკრატმა მას 675 გვერდიანი ფუნდამენტური მონოგრაფია გადასცა ავტოგრაფით, რუსულ და ინგლისურ ენებზე რეზიუმების გაცნობის და წიგნის გადათვალიერების შემდეგ, ასეთი პასუხი მოსწერა: “თქვენზე მე მოჩება სერიოზული შთაბეჭდილება ამ დიდი მონოგრაფიის გაცნობის შემდეგთ”. მარჯვნივ მესამე დგას – სოკრატ სალუქბაძე. სურათი გადაღებულია 1985 წელს მედიცინის ისტორიკოსთა საკაგშირო შეძრებაზე.



წამალთმცოდნის მეგობარი, გვარ-სახელების მკვლევარი, აკადემიკოსი
იაკობ ახუაშვილი (ალგეთელი)



პოეტი იოსებ ნონეშვილი და წამალობრივი სოკრატ სალუქეგაძე.
საყვარელი პოეტის ბევრი ლექსი სოკრატმა ზეპირად იცის.



ჩვენი დროის უდიდესი მსახიობი – ქალბატონი გერიგო ანჯაფარიძე და მისი შვილობილი – ხშირ-ად გალოკორდინისა და გალერიანის ტაბლეტების „მომმარაგებელი“ სოკრატ სალუქეგაძე.



მარტო გურულების კი არა, სრულიად საქართველოს კარუზო – ალექსანდრე ხომერიკი. 13 აგვისტოს გახდავთ დაბადებული, კურორტ ბახმაროში. დაბადების წელს არ ვასახელებთ, რადგან ჯერ იგი სრულიად ახალგაზრდაა. ისე, რომ იცოდეთ მამასავით ლამაზი ორი ქალიშვილი პყავს გასათხოვარი. გაუმარჯოს ნიჭიერ მომღერალს, ჩვენს მმაკაცს, ამბობს წამალომცოდნე და აცხადებს, მზად ვარ ქორწილში თამაღობისთვის!..



სოკრატ სალუქევაძის მეგობრები: გიზო ნიშნიანიძე და ზაურ ბოლქვაძე.



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნიერ) სოკრატ სალუქეგაძე, ლეგენდარული პოეტი-ლირიკოსი – ანა კალანდაძე პოეტი, მწერალი, მოქალაქე და პროფესორი გიზო ჭელიძე.




ძმაღშეფიცულები: წამალთმცოდნე სოკრატ სალუქეგაძე და სუროთმოძღვარი,
რესტავრატორი ელდარ ასპაანიძე–ფანასკერტელ–ციციშვილი
ზაზას ფრესკის წინ ყინწვისის ეკლესიის დამატებით ეპედერში.



სოკრატის მეგობარი და მეჯვარე, ყოფილი მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის
ყოფილი პირველი მოადგილე

პეტრე ჯიბლაძე.

მან ქ. ფოთის №2 აფთიაქის მმართველი ქ. ლენინგრადში ქიმიურ ფარმაცევტული
ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიავლინა პროფესიონალურ ღრუბლისა და საქარხნო
ტექნოლოგთა დახმარებელის კურსებზე. ჩვენს სოკრატს, მეგობრისათვის წერილი და სუ-
რათის გამოუგზავნია რუს მანდილოსნებთან (თანაჯგუფელებთან) ერთად გადაღებული. სუ-
რათის ვერსო გვერდზე მიუწერია: “ჩემო პეტრე, ამბაკოს ბადიში და სტეფანეს ბიჭი მდინ-
არე ნევის ნაპირას თავს ცუდად არ გრძნობს...”



ყოფილი კეცხოველის ქუჩაზე, დაღი გუდიაშვილის სამხატვრო გალერეაში (მუზეუმში), ხშირად დადიოდა სოკრატ სალუქვაძე და დიდ მხატვართან, დაღი გუდიაშვილთან ერთად საუბრობდა ფერწერული სადებავების მდგრადობასა და ქიმიურ შემადგენლობაზე. თურმე მწვანე ფერი ესპანური ბუზის კანთარიდინის ქიმიურ შემადგენლობაზე ყოფილა დამოკიდებული, ფერწერულ ტილოებზე მწვანე ფერი საუგუნეების მანძილზე ამავე ფერს რომ ინარჩუნებს. ბატონ დადოს თანამოსაუბრისთვის გულატკენს უთქვამს: “ქაშვეთის ეკლესიის ქონქში ნიშნით აღბეჭდილი დგომისმობლის ფრესკა მოვხატე ბროწეულის ნაყოფებდახუნძლული რტოებით და სანაცვლოდ, კომუნისტური პარტიის რიგებიდან გამრიცხესო”.



ასეთი მშვენიერი ქალბატონები, როგორებიც არიან: მანონი ქელბაქიანი, მანანა ყიფიანი და ნუნუ ქირია მე გრანპრის პრიზით პრემირებულ პოლიუდის ფილმებშიც არ მინახავს. “თქვენებრ სადარი სიტურულე, ამქეუენად მონაგონია”.



ამჟამინდელი სტეფანწმინდის (ყოფილი ყაზბეგის რაიონის) – ყოფილი რაიონის პირველი მდინარი ჯუმბერ გომიაშვილი (მარცხნივ) და სოკრატ სალუქვაძე. სურათი გადაღებულია 1986 წლის 26 მაისს პელსინგში – რესტორან „ყაზბეგში“. მოხეური ცხვარის ფიტულთან. რესტორანი „ყაზბეგი“ ეროვნული ქართული სამზარეულოთი, ქართველი და ფინელი ხალხის მეგობრულ სიყვარულს მიუძღვნეს ფინელებმა, რომლის დაარსებაში ლომის წილი ჯუმბერ გომიაშვილს მიუძღვის: ქართული მასპინძლობით ფინელი ტურისტები ყაზბეგიდან ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულან სამშობლოში, მადლიერების გრძნობით ქართული რესტორანი გაუხსნიათ.



მარცხნიდან მარჯვნივ: ქ. ფოთის №2 აფთიაქის მმართველი ახალგაზრდა სოკრატ სალუქვაძე, ამავე აფთიაქის ყოფილი მმართველი ქეთევან შუბაშვილი, გალინა გრაჩოვა და ციალა გალანდაძე,
II რიგში დგანან: ვერა ხოჭოლავა და ანია (გგარს ვერ იხსენებს).



1978 წლის 8 ივნისს ექონომიკის ინსტიტუტში, კრწანისის ტრაგედიის მსგავსი მარცხის შემდეგ (ჩვენს სოკრატს მხედველობაში აქვს დისერტაციის წართმევის ფაქტი) 1998 წლის 21 ივნისი ჩემთვის დიდგორის გამარჯვების ზეიმის ტოლფასი იყო (მხედველობაში აქვს დისერტაციის დაცვა). კათედრაზეა დისერტანტი სოკრატ სალუქვაძე.

პრეზიდიუმში სხედან ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი – ვაჟა ერიაშვილი და პროფესორი მზია სურგულაძე. დგას ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი – ეთერ ქემერტელიძე. ერთხელ როგის სარიც აყვავილდებათ – ისხენებს ჩვენი სოკრატი და გულწრფელ მადლობას მოახსენებს აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს და სამეცნიერო საბჭოს თხუთმეტივე წევრს დადებითი ხმების მოცემისათვის. ასევე მადლობას მოახსენებს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს ბატონ დურმიშხან ტურაბელიძეს, საბუთების ზედმიწევნით ზუსტად გაფორმებისათვის!




მეგობრები – რეზო დონაძე, აკადემიკოსები ოთარ ჯაფარიძე და ზაზა გახიანი, არქეოლოგი გელა გობეჯიშვილი – დისერტანტ სოკრატ სალუქვაძის გულშემატკიფრები. ფოტოსურათი გადაღებულია 1998 წლის 21 ივნისს. ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფოიეში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.



მეგობრები: ავტონუინერი შოთა მერაბიშვილი და სოკრატ სალუქვაძე



სო ჭავჭავაძე
 სოგნე ბუტი
 იუსუფ
 ჯაჭვა
 10. V. 79
 ასული

ბატონი მუხრანი – თანამედროვეობის უდიდესი პატიოლიტი პოეტი. სოკრატ სალუქაძე აცხადებს, რომ გამსახუმის კომიტეტის თავმჯდომარებელა, მწერალ ელგუჯა მაღრაძესთან ბატონმა მუხრანმა დამაახლოება და თუ მე დღეს წიგნების ავტორი ვარ, კოროლიოგივით ორბიტაზე ამ მგობრებმა გამიყვანებ და წიგნების ავტორი თუ მქონა ეს ამ კეთილშობილ ადამიანთა დამსახურება გახდავთო. მეგობრების ამაგზე ასე გულობილად მსჯელობს ჩვენი წამალომცოდნე.



ძმა კაცები: გია გენჭაძე და სოკრატ სალუქაძე.



ბატონი გიორგი ბედინეიშვილი

გაზეთ „კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორი, რომელმაც ზემოდან ნაკარნახები ტენდენციური სტატია არ დაბეჭდა სოკრატ სალუქევაძეზე, კრიტიკა გაოქვეყნებული იყო უურნალ „საბჭოთა მედიცინაში“. ავტორმა საკადრისი პასუხიც გასცა კრიტიკულ სტატიას და ბოლოს და ბოლოს აფთიაქის მმართველებმა პლაკატი გამოაკრეს აფთიაქებში და ოქვენ პროფესორებს საქმე შემოგელიათ თუ სხვა ვერაფერი ნახეთ უფრო მნიშვნელოვანი გა-
საკრიტიკებელი თემაო, და ბატონმა გიორგიმ სამსახური დატოვა. უმართებულო კრი-
ტიკა კი, პრინციპულად არ დაბეჭდა. დიდება მის სახელს, სული მისი ნათელში ამყოფოს უფალმა. როცა ბატონ სოკრატს მისთვის ფუნდამენტური მონოგრაფია გადაუცია სამახს-
ოვრო წარწერით, ბატონ გიორგის მეზობლები დაუპატიჟნია, განთიადამდე უქეიფიათ და
სოკრატისთვის ასე უთქვამს: „კაცი შენ ყოფილხარ, რამხელა მონოგრაფია გამოგიცია.
გულწრფელად გეტშვი, მე რა გაკეთო, ადარ ვიცი ამოდენა მოცულობის წიგნი მე არ გამო-
მიცია და შენ როგორც წიგნის ავტორმა ელიტარულ საზოგადოებაში დაიმკვიდრე ადგ-
ილიო. შენზე ცილისმწამებლური პასკვილი რომ დამებეჭდა, სახელს ისე გაგიტეხდნენ ის
გაუბატონები, რომ ბროშურასაც ვედარ დაბეჭდავდიო.“ საკუთარი მოქმედებით კმაყოფილს,
უაღრესად კეთილშობილ ამ კაცს – ბატონ გიორგი ბედინეიშვილს ნიშნის მოგებით ასე
უთქვამს სოკრატისათვის. ასეა, სიკეთე ამ ქვეყნად არ იკარგება.



ჭადრაგში მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და მისი გულშემატკივარი წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე.



როცა ქ. თბილისის ფარმაცევტულ ქარხანას ბატონი დიმიტრი ჯაფარიძე მეთაურობდა 60-იანი წლების დასაწყისში, 70-ზე მეტი დასახელების პროდუქციას უშვებდა ეს საწარმო. ეს იყო საქართველოში ფარმაცევტული ინდუსტრიის დასწყის. დიდი მეწარმე ბატონი დიმიტრი ჯაფარიძე წარმოშობით დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურიდან გახლავთ, ამიტომაც სოკრატი და ის უანგაროდ მეგპბრობდნენ. დღეს ფარმაცევტული პროდუქციის გამოშვება იმდენად შემცირებულია ამ უწყებაში, რომ კომენტარი მართლაც ზედმეტია.



სოკრატ სალუქევაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა
აპავშირებდა საქართველოს მწერალთა კავშირის
გამგეობის თავმჯდომარესთან, შოთა რუსთაველის
სახელობის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატთან
მწერალ გურამ ფანჯიქიძესთან.

გამომცემლობა “საბჭოთა საქართველოს” დირექტორს, მწერალ ელგუჯა მაღრაძეს სოკრატ სალუქევაძისთვის სამუშაო კაბინეტში სიხარულის ცრემლები არაერთხელ მოუგვრია. როცა გამსახვომის კომიტეტის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ, ს. სალუქევაძის მონოგრაფიის გამოცემა მოსკოვში, ყოფილი საკავშირო გამსახვომის თავმჯდომარესთან სტუპალინთან შეუთანხმებია, ისე, რომ თაბახების რაოდენობა არ განუსაზღვრავთ. მოსკოვიდან დაბრუნებულ ბატონ ელგუჯას თავისი ბოსი ხმით უცნობებია: “თაბახები განსაზღვრული არ არის, მომენტი გაქვს კაპიტალური, ფუნდამენტური მონოგრაფია გამოსცეო”. ასეთი უანგარო დამოკიდებულებით მკითხველმა მიიღო საინტერესო, ვრცელი მონოგრაფია. „სააფთიაქო ქსელში მე ამ წიგნმა დამაბრუნაო, იხსენებს ბატონი სოკრატი და მართლაც ასეა, რაღგანაც დედაქალაქის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შემწყნარებლობა გამოიჩინა. უდაოა, რომ ჩვენი სოკრატი ფიზიკურად და მორალურად მწიგნობრობამ გადაარჩინა. სრულიად სამართლი-



ანად ბატონ ელგუჯა მაღრაძეს ჩვენი სოკრატი „აღმაშენებლის“ ეპითეტით მოიხსენიებდა. ფოტოსურათზე მწერალთა კავშირის მდიგანი, მწერალი ელგუჯა მაღრაძე და მარად მისი მადლობელი... სოკრატ სალუქევაძე



გერმანელი პროფესორი კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელი უპირველესი ქართველოლოგია, რომელმაც მსოფლიო მედიცინის ისტორიის I ტომს ქვესათაური კოლხურ-იბერიული მედიცინის ისტორია წინ წარუმდგარა. მესოპოტამურ-ბაბილონურ, ეგვიპტურ, ბიზანტიურსა და რომაულ ცივილიზაციაზე წინ დააყენა. უპრიანი იქნებოდა, ამბობს ჩვენი სოერატი, არ შემოვფარგლულიყავით ქ. თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმში მისი სურათის გამოფენით და დაგვეარსებინა პროფ. კურტ შპრენგელის სახელობის ქუჩა ჩვენ დედაქალაქ თბილისში. გვეთხოვა დიდი მოქანდაკის, ბატონ მერაბ ბერძენიშვილისათვის ბრინჯაოში ჩამოსხმულიყო ოთხი ბიუსტი ამ დიდი გერმანელი მეცნიერისა. ერთი დაგვედგა ქალაქ პალეში, საღაც კურტ შპრენგელი მოღვაწეობდა, მეორე – ჩვენ დედაქალაქ თბილისში, კურტ შპრენგელის სახელობის ქუჩაზე, მესამე – ქალაქ ლონდონში, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმში (დირექტორი პაროლდ კუპი), მეოთხე კი – ქ. თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმის ინტერიერში. სწორედ ამ სურვილის განხორციელებაზე ოცნებობს შპრენგელის ფოტოსურათის წინ მდგარი წამალთმცოდნე სოერატ სალუქვაძე და ამ დროს იგი პენსიაზე გაუშვეს.



საქართველოს დამსახურებული პროფიზორი არჩილ ჭუმბურიძე უნიკალური პლასტმასის ფილტრით სტერილურ დიფუზიური ხსნარების დამზადების თაობაზე საუბრობს ქ. თბილისის №1 საავადმყოფოს აფთიაქის თანამშრომლებთან.



ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი მასწავლებელი, საქართველოს დამსახ-
ურებული პედაგოგი, “მასწავლებელთა მასწავლებელი”, ჩვენი სოკრატის მასწავლებლი
ერემი ყაისარის ძე სალუქვაძე.

ბევრი თაობა აღზარდა ამ ამაგდარმა მასწავლებელმა. სოფ. ლიხაურის გარდა ამ სკოლაში სწავ-
ლობდნენ მოსწავლე ახალგაზრდები: ქ. ოზურგეთიდან, სოფლებიდან: ჭანიეთიდან, ქაქუთიდან, მაკ-
განეთიდან, ექადიიდან.



ქართული ფარმაცევტული დარგის მეცნიერებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ
რუს კოლეგებს, პროფესორებს: დარია და ივანე მურავიოვებს. სოკრატ სალუქვაძეს დრო მოუხ-
ელთვებია და მცხეთის სვეტიცხოვლის ეზოში მათთან სამახსოვრო ეს ფოტოსურათი გადაუდია.



მეგობრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვაჟა სალუქეგაძე, იური მგალობლიშვილი და სოკრატ სალუქეგაძე
სოფელ ლიხაურში ექვთიმობის ზეიმ-დღესასწაულზე, (1985 წელი.)

აქვე გავიხსენოთ ჩვენი სოკრატის მეგობრის, პოეტ ზაურ ბოლქვაძის
ლექსები

სოსო სკორჭვახი

სოსო! დაუჩერებელ
კინილია ქას კას ჭირ, —
დამარტი! — მომაზარ
ჩარიცხო, ცვალები!
სოსო სკორჭვახი
23.XII.85.



50-იანი წლების სტუდენტებს პრაქტიკული მეცანიერები უტარდებოდათ დოცენტ მარიამ ტრაპაიძის ხელმძღვანელობით წამალთფორმათა ტექნოლოგიაში ყოფილი კეცხოველის ქუჩაზე, ეს იყო ყოფილი ვიქტორ ლუდგიგ ვილარეტის აფთიაქში. სოკრატ სალუქვაძემ გაზეთ “ვეჩერნი ტბილის” ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია, რომ ეს შენობა დათმობოდა სააფთიაქო მუზეუმს. ამის საპირისპიროდ აფთიაქის შენობა გადასცეს ფინანსთა სამინისტროს. სამწუხაროდ განადგურდა წითელი ხისაგან (ურთხელისაგან) დამზადებული სააფთიაქო ავეჯი: კარადები, რომელთა უჯრებზე იყო მეტალური წარწერა ლათინურ ენაზე იმ სამკურნალო მცენარეებისა, რომლებიც იყო განთავსებული ამ უჯრებში. ორი კარადა მგონი გადარჩა. ისინი წამალთ ფორმების ტექნოლოგიის კათედრაზე უნდა ინახებოდეს ამჟამად. დაიკარგა კონუსური ფორმის პლასტმასისა თუ მინისაგნ დამზადებული ონკანიანი ჩანები სპირტიანი ნაყენების დასამზადებლად, ასაევე დაიკარგა ორმაგი სპილენძისაგან დამზადებული პლანტამურის ძაბრები. ერთი სიტყვით, აქ იყო მიკროფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ყველა იარადი: სხვადსხვა სასწორები, უნიკალური კედლის საათი ვილარეტის ფეოდალური საკუთრება. ეს აფთიაქი 1891 წლიდან ცურინვის აფთიაქად იხსენებოდა, შემდეგ ვიქტორ ლუდგიგ ვილარეტის სააფთიაქო ლაბორატორია იყო განთავსებული ამ შენობაში. გადარჩენილია და თბილის №1 აფთიაქ-მუზეუმშია შემონახული სპილენძის თანვირა ქვაბი, რომელზეც აერამიკული საინფუდირო აპარატები იდგმებოდა გამონაცემებისა და მონახარშების მოსამზადებლად. დღეისათვის გაუგებარია, ამ შენობის განკარგვა მოახდინეს სოკრატ სალუქვაძის წინადადებით, რომ მუზეუმი არ გახსნილიყო, თუ ეს იყო მტრული დამოკიდებულება ფარმაცევტული დარგისადმი? საკითხი დღემდე გაუგებარია, ისტორიას შემორჩა ედუარდ გიგილაშვილის ფოტოსურათი ვილარეტის აფთიაქის თუ ლაბორატორიის ინტერიერისა.

თურმე ჯერ სადა ხარ?! 1 აფთიაქ-მუზეუმსაც ზედ მიაყოლებენ! საკვირველია, ასე დაბალ დობედ რატომაა მიჩნეული სააფთიაქო დაწესებულებები და რატომ არ ცდილობენ შთამომავლობას ასეთი რელიქვიები შემოუნახონა?



სოკრატის დედა, ქალბატონი ლუბა კონსტანტინეს ასული მუავია—სალუქებისა. ზის მისი დაქალი, ქალბატონი ელენე თავბერიძე—ვასაძისა, მესამე პიროვნების ვინაობა უცნობია. სურათი გადაღებული უადა იუოს XX საუბაუნის 30-იან წლების დასაწყისში.



მკაცრ მშობელ მამასავით საყვარელი, სტუდენტებისათვის სამაგალითო ლექტორი
პროფ. პეტრე გელბახიანი

წამალთმცოდნე სოკრატ სალუქების ლრმა ოწმენით, ბატონი პეტრე გელბახიანი არასოდეს იკა-
დრებდა ყოფილი სტუდენტისათვის სიმართლე დაეკარგა და სააფთიაქო დარგის მუშაკი ეკონო-
მიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრების საჯიჯგნად დაეგდო, სამწუხაროდ, ეს იკადრეს
ეკონომიკის ინსტიტუტში დახურულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1978 წლის 8 ივნისს, ანუ დაა-
ტოვებინეს, ხელდახელ წაართვეს წამალთმცოდნე სოკრატ სალუქების სადისერტაციო ნაშრომი. ამ
სისაძაგლეს ბატონი პეტრე სათავეში ალბათ არ ჩაუდგებოდა.



ვახტანგ ვახტანგის ძე გაჩეჩილაძე.

სოკრატ სალუქაძის სულიერი მეგობარი, სახელმწიფო მრჩეველი და ექიმ—ოფთალმოლოგი. ყველაზე მუდამ უანგაროდ მზრუნველი და კეთილშობილი, ქ. თბილისის კოლორიტი მოქალაქე, გაჩეჩილაძის გგარის საამაყო და პატივსაცემი პიროვნება.



სოკრატ სალუქაძე პეტერგოფის შადრევნებთან. 1961 წელი.



ბატონი თამაზ ივანეს ძე სალუქვაძე.

სოკრატ სალუქვაძის ნათესავი და ახლო მეგობარი, პოეტი, ჟურნალისტი, რედაქტორი, “ცოცხალ ენციკლოპედიად” წოდებული კეთილშობილი მოქალაქე, სალუქვაძეთა გვარის ერთ-ერთი საამაფო, კოლორიტი და პატივსაცემი პიროვნება, ჰყავს ბედნიერი ოჯახი.




ბატონი თამაზ სალუქვაძის ერთადერთი ქალიშვილი მაია თამაზის ასული სალუქვაძე


ამ წიგნის ტექსტის კომპიუტრში ამწეობი გახლავთ, რისთვისაც სალუქვაძეთა საგვარეულოს სახელით წამალომცოდნე – ბატონი სოკრატ სალუქვაძე, დიდ მადლობას მოახსენებს და უსურვებს ლამაზ და ბედნიერ მომავალს. მაიას ჰყავს ერთადერთი ულამაზესი გაუიშვილი თამაზიკო. მხოლოდ მის ბედნიერ მომავალზე ოცნებობს. თამაზიკო და ჩვენი წამალომცოდნე ძმაკაცები არიან და უყვართ ერთმანეთი.



სურათზე: პირველი წიგნის ავტორი სოკრატ სალუქაძე, საამქროს უფროსი გაუა რამიშვილი, გამომცემლობის თანამშრომელი (გვარი უცნობია). დმერთმა ყველას განაცდევინოს პირველი წიგნის გამოცემის სიხარული – ამ სიტყვებით ლოცავს ყველა პირველი წიგნის ავტორს ჩვენი სოკრატი, ხოლო გაუა ოხუნჯობდა: „ტირაჟს ერთი ათასი ცალი დაგამატოთ, ავტორმა აფ-ტოგრაფით, უფასოდ რომ დაარიგოსო“.



ბაქოდან სტუმრად ჩამოსულ აზერბაიჯანელ პროფ. ისრაფილ დამიროვს ჩვენი სოკრატი ხშირად ხვდებოდა. ერთ-ერთი მათი შეხვედრა ფოტომსატვარმა ე. გიგილაშვილმა ფირზე აღბეჭდა.



სოკრატის ბიძაშვილი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი
ბატონი შოთა მჟავია



სოკრატის ბიძაშვილი, ქიმიკოს-ტექნოლოგი, ინჟინერი
ანზორ მჟავია




საქართველოს ტელევიზიის მხატვრული გადაცემების მთავარი რედაქტორი, საქართველოს
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე –
შოთა ანანიას ძე სალუქევაძე.

როცა სოკრატი ფოთიდან თბილისში გადმოიყვანეს, შოთამ ობოლაძის ქუჩაზე, №20–ში პინის გსაღვ-
ბი დროებით ჩაპარა. ეს დროებითი პინის უსასყიდლოდ დათმობა, 9 წლიანი ადმოჩნდა. პატონი
შოთა ამაგდარი და კეთილი კაცი იყო, ასე იხსენებს წამალთმცოდნე მას. იგი მოულოდნელად
გარდაიცვალა – 43 წლის ასაკში. შევი დათვის – შოთა სალუქევაძის უდროოდ გარდაცვალებამ დაა-
დარდიანა ჩვენი დედაქალაქი, საქართველოს ტელევიზიის შენობიდან გამოასვენეს, პინა იმ დღეებში
უნდა მიედო და რაღაც მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. პატონმა კაკო ძიძიგურმა, გამოსათხოვარ
სიტყვაში ასეთი ფრაზა წარმოთქვა: “პუნებაში, რომ სამართალი იყოს, ჩემო შოთა, ამ სიტყვებს, მე
რომ ვამბობ, შენ უნდა ამბობდე, მე კი მაგ სარეცელზე უნდა ვიწვეო”, გულდაწყვეტილი მეცობრები
ამბობდნენ, რომ შოთას სიკვდილშიც არ დაურჩა ბედიო. დედამისმა – საბედო ორაგველიძემ ასე
დაიტირა უდროოდ გარდაცვლილი შვილი: “მამაშენმა ანანიამ ამ წუთისოფელში 47 წელი იცოცხლა,
შენ კი 43 წლისა წახვედი”. როგორც წამალთმცოდნე სოკრატი იხსენებს, შოთას ცხედართან ფიცი
დაუდგია. ასანთი და სიგარეტი კუბოში ჩაუტანებია, თუ სიგარეტს აგანთებ, ეს შენი დავიწყების
ტოლფასი იქნებაო. მას შემდეგ, 39 წელი იწურება და სოკრატის ფიცი დღემდე არ გაუტქია. ასე
სათუთად ინახავს საამაყო გვარისშვილის ხსოვნას ჩვენი წამალთმცოდნე.



**ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი
ეთერ სალუქევაძე.**

ყოფილი ორჯონიგიძის სახ. რაიკომს მან მისცა წარდგინება-რეკომენდაცია, რომ სოკრატ სალუქევაძე თბილისის №27-ე აფთიაქის მმართველად დაემტკიცებიათ. უდროოდ გარდაცვლილი მისი სული სასუფეველში ამყოფოს უფალმა.



სოკრატის აღმზრდელი ბიძა – გერმანე მჟავია (90 წლის) და მისი დიშვილი სოკრატ სალუქევაძე.



აკადემიკოსი ბორის სალუქეაძე.
უაღრესად თავმდაბალი და კეთილშობილი, მუდამ გაწონასწორებული და ოლიმპიური
სიმშვიდის მქონე პიროვნება.



ძმად საფიცრები მამა—შვილი თენგიზ და იაშა მახარაძეები. ჩვენი სოკრატი იაშას ფეხზე მოსიარ-
ულე სამშობლოს ეპითეტით ამკობდა მუდამ.



№1 აფთიაქ-მუზეუმში სტუმრად მყოფი ეთნოგრაფი გახუშტი კოტეტიშვილი გულობილად საუბრობს
სოკრატ სალუქვაძესთან



საქართველოს მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელს და სისტემატიკოსს, ექიმ ლადო კოტეტიშვილს ჯეროვნად აფახებს წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე. ერთხელ, სტუდენტობისას, სოკრატი სტუმრად მისულა მამის დეიდაშვილთან, პროფ. მიხეილ გარაფანიძესთან შავთელის ქუჩაზე. არქიტექტორ-პროფესორს III კურსის სტუდენტისათვის უკითხავს: “ლადო კოტეტიშვილი თუ იცი, გინ იყო? სტუდენტს მხრები აუჩენავს და არ ვიციო, უპასუხნია. პროფესორმა დასცინა და უთხრა, აბა შენ ყოფილხარ”... მას შემდეგ ჩვენი სოკრატი ლდემდე სწავლობს ლადო კოტეტიშვილის პიროვნებას და მისი მაგალითით წამალთმცოდნეობის ისტორიის ბეჯითად შესწავლა დაუწყია. აქ იმის თქმა გვინდა, რომ გარემომცველ წრეს და ზოგიერთ შეკითხვებს, თუნდაც იგი დამცინავი იყოს, სტუდენტთა მომავალ ცხოვრებაში თურმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამის ერთ-ერთი მაგალითი გახდავთ ლადოს მმისშვილის ფოლკლორისტ პროფ. ვახუშტი კოტეტიშვილის მიწვევა აფთიაქში და ბიძამისის ლადო კოტეტიშვილის ფოტოსურათის საპატიო ადგილის მიჩენა ქ. თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმის ექსპონატებს შორის. ცნობილ ფოლკლორისტ-ეთნოგრაფსა და მეცნიერს სოკრატმა სთხოვა შთაბეჭდილების წიგნში რაიმე მოგონება ჩაეწერა ამაგდარ ბიძაზე. სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი (ზედა) 189-ე გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე.



პეთილგანწყობილი მეზობლები: წამალთმცოდნე სოკრატ სალუქაძე და ინჟინერ—ტექნოლოგი
შოთა შეყრილაძე.




პოეზიის ზეიმი—დღესასწაული “შოთაობა” იყალთოში. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ წამალთმ-
ცოდნე — სოკრატ სალუქაძე, პრეფექტი — უშანგი სიდაშელი, მსახიობი ქოტე მახარაძე, მოქანდაკე
ელგუჯა ამაშუკელი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და სახელმწიფო მრჩეველი და ექიმი—ოფთალ-
მოლოგი — ვახტანგ გაჩეჩილაძე. სურათი გადაღებულია 1991 წელს.



დიდი ზაზა ასპაანიძე—ფანასკერტელის შთამომავალი, არქიტექტორ—რესტავრატორი ბატონი ელდარ ასპაანიძე—ფანასკერტელ—ციციშვილი და სოკრატ სალუქაძე საუბრობენ მაღალამეების თახებიანი აფთიაქის გეგლების ფონზე.




ჩვენი სოკრატი, თურმე IX რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილე ყოფილა ქ. ფოთის ეთნოგრაფიული გუნდის წევრებთან ერთად.



სოკრატის მეგობარი და ნათესავი, აკადემიკოსი
რეზო სალუქვაძე.

საგვარეულოს კაშაშა გარსეკვლავი უდროოდ გარდაიცვალა 2001 წელს, 71 წლის ასაკში.
უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ოთარ ჩერქეზიას და პროფესორ იოსებ მეგრელიძეს ესაუბრება სოკრატ სალუქვაძე, ზაზა ფანასკერტელთან ერთად, იუბილე მასარებელ ოქროპირის ძე მაღალაძესაც უნდა გადაუხადოთ. სურათი გადაღებულია ექვთიმობის დღესასწაულზე აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, 1985 წელს.



პოეტი ბელა ახმადულინა სტუმრად ბრძანდებოდა ჩვენი წამალთმცოდნის სოკრატ სალუქევაძის ბინაში. ეს მომენტია აღბეჭდილი ამ ფოტოსურათზე.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოკრატ სალუქევაძე ოცი წლის მანძილზე უკითხავდა ლექციებს სტუდენტ ახალგაზრდობას წამალთმცოდნეობაში.



სტუმრად თბილისის ვიცე – მერთან ბატონ მელორ ტექშელაშვილთან, რომელსაც
თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმის გადარჩენაში ლომის წილი მიუძღვის.
გმადლობთ, ბატონო მელორ! მაგრამ ბოლომდე რომ ვერ გვიშველე?



მამა-შვილი გასილ და ოთარ სალუქეგაძეები აულაგებელი სუფრის მასპინძლები იქვნენ... ამ ოჯახ-
შიო, იხსენებს სოკრატი, ბეგრჯერ გამიმასპინძლდნენ გარეული ტახის მწვადებით, მწყრის, კაგბისა
და შემწვარი ხოხობის კერძებით, ორაგულიც ხშირად დამიჭაშნიკებია. ლომი და ინდაურის საციფი
ამ ოჯახის სუფრის მუდმივი კერძი გახდდათ, განსაკუთრებით კალანდის დღეებში.



მარცხნიდან პირველი: მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ყოფილი უფროსი გურაშ სანთაძე, მარჯვნიდან პირველი: საქმედტექნიკის სამმართველოს ყოფილი უფროსი ოთარ ნიშნიანიძე. მარცხნიდან მესამე: სოკრატ სალუქვაძე – საქართველოს ფარმაცევტული ყრილობის დელეგატებთან ერთად.



მძიმე თავთავით თავდახრილი დგას სოკრატ სალუქვაძე, მისგან შორსაა ამპატრტავნობა და ამბიციურობა... ხშირად იხსენებს რომაულ ანდაზას: „ვეზირს ვეზირისააო და კეისარს კეისრისაო“.



სოკრატის ალმზრდელი ლექტორი, პროფესორი
რეზო სხილაძე



ფარმაცევტული ფაბულტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი მედქალაქის სამკურნალო მცენარეების
საცდელ ნაკვეთში, თოხით ხელში სოკრატ სალუქებაძე.



თბილისქალაქობის ზემოხე ერთმანეთს შეხვდნენ მეგობრები: საქართველოს სახალსო არტისატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენ-ერგეტიკოსი, ლოტბარი და ქორეოგრაფი გიორგი სალუქებაძე და სოკრატ სალუქებაძე. (მარჯვნივ ნაბადში და სვანურ ქუდში). 1987 წელი.

ძირის ლილი!
 გილოცა მარტ ტელი,
 არაური ჭირები, ასე უკარი
 ეხო ბურაოთიც მი აუყის:
 ჯანმრთელი,
 ლინეული,
 მეცნიერება,
 სამუშაო,
 ძროვა.
 ამ ნამთხუთოւო კუთვია
 უძრავებო ღია ცეცხლი
 ფიტ ჩვით მომცი უბო-
 ბება.
 970. ქ. სართველ.


გულთბილი საახალწლო მოლოცვა.



մեցոնօրեած յշոն ցողծերանցութիւն և սուրաբ սալշէվամյ.



յ. տօնութիւն №27-յ առողջապահութեան տաճամշրოման մասնակիութիւն և գումարան սուրաբ սալշէվամյ.



მარცხნიდან მარჯვნივ თენგიზ კეგელიძე, თამადა – სოკრატ სალუქვაძე, იუბილარი – კარლო გვე-ლესიანი (50 წლისთავი, 7 ნოემბერი, 1984 წელი, რესტორანი “ბუდაპეშტი”).



მეგობრები: ინჟინერი – შოთა მერაბიშვილი, პოეტი ილია ბარამიძე, წამალთმცოდნე სოკრატ სა-ლუქვაძე და პროფესორი გიზო ჭელიძე.



მარცხნივ – ქ. თბილისის 24-ე აფთიაქის მმართველი გიგი საყვარელიძე და მთავარი სააფთიაქო
სამმართველოს უფროსი ტიტე გადაბაძე.



მეგობრები ჯუმბერ ჯაფარიძე, სოკრატ სალუქვაძე და მისი პიძაშვილი ნუგზარ სალუქვაძე



თანაკურსელები: სოკრატ სალუქევაძე და ჯემალ ყიფიანი.



პროფ. ა. მშვიდობაძეს სოკრატ სალუქევაძე საკუთარი ძმიშვილივით – ნუგზარ მშვიდობაძესავით უფ-
ვარდა. ნაკადხელად დანიშნა. ტრიბუნაზე მოხსენებით გამოდის სტუდენტი სოკრატ სალუქევაძე. ზის
პროფ. ა. მშვიდობაძე, სტუდენტი მ. ყიფიანი, პროფ. გ. ცემიმანაური და პროფ. გ. შოთაძე. სურათი გა-
დაღებულია 1957 წელს, არჩილ გემჯიანის ფოტო.




ეს ფოტოსურათი აღმოჩნდა სოკრატ სალუქვაძის არქივში. იგი გადაღებულია ფარმაცევტული ფაბრიკა “ჯანმრთელობის” გახსნის დღეს, რომლის მშენებლობა კუკური ლოსაბერიძის ხელმძღვანელობით დამთავრდა. მარცხნიდან მარჯვნივ მეორე – ალექსი მენაბდე, შალვა მესხიშვილი, არჩილ ყუფარაშვილი, კოტე სანდომისაშვილი, შოთა უჯმაჯურიძე, კუკური ლოსაბერიძე, მამია ჩხეიძე, ასმათ ბადრიძე, სოკრატ სალუქვაძე, ვახტანგ ძინძიბაძე, სანდრო შუბლაძე და სხვები.



ეს სურათი დიდუბის პანთეონში ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთანაა გადაღებული. მარცხნიდან პირველი – საქართველოს აკადემიის პრეზიდენტი ევგენი სარაძე, სოკრატ სალუქვაძე, ოზურგეთის პარტიის რაიკომის (ყოფილი) მეორე მდივანი მაკარ ნიკოლაიშვილი, პროფ.

გურამ შარაძე. თბილისი, 1985 წელი.



პოპულარული მსახიობები: იპოლიტე ხვიჩია და ნიკოლოზ მოსეშვილი. შუაში სოკრატ სალუქვაძე. სურათი თბილისქალაქობის ზეიმზეა გადაღებული.




თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები, მარჯვნიდან მარცხნივ: პროფ. ოთარ ჩახუნაშვილი, სამეცნიერო მუშაკი ასხაბაძე, პროფიზორი სოკრატ სალუქვაძე, უაღრესად პოპულარული აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი და სხვები.



დედა-შვილი და ბოკრატ სალუქევაძეები ამბაკოს მარანში დირსეულად დახვდნენ დიდ გინორეჟისორს ბატონ სიკო დოლიძეს. სტუმარმაც არ დააყოვნა და “ადესა – იზაბელა” კოპით დააჭაშნია.



გურიაში მიმდინარეობდა ფილმი “სემირამიდას ბაღების” გადაღება. ცუდი მასპინძელი, ალბათ, არ გიყავი. დაგპატიჟე ამ ფილმის გადაღების მონაწილეები: ცენტრში რეჟისორი სიკო დოლიძე, ყაბალა-ახში იპოლიტე სვიჩია და კოტე დაუშვილი, გემრიელი პური ვჭამეთ, ისესენებს წამალთმცოდნე სოკრატ სალუქევაძე.




შოთა დომენტის ძე სალუქვაძე. ხანძრის ჩაქრობაზე დიდი გმირობა გამოიჩინა... ოქსპუბლიკურ მეხ-ანძრეთა მუზეუმში მისი გამურული ბიუსტი ინახება. გარდაიცვალა 77 წლის ასაკში. დაკრძალულია ქ. ფოთის სასაფლაოზე, იყო უაღრესად კეთილშობილი და უპატიოსნესი მოქალაქე. მისი სული ნა-თელში ამყოფოს უფალმა.



პოპულარული ფეხბურთელი ზაურ კალოევი და ქართული ფეხბურთის გულშემატკიგარი წამალომ-ცოდნე სოკრატ სალუქვაძე.



მაღალაძეების თახჩებიანი აფთიაქის ფონზე. აფთიაქის აღმომჩენი სოკრატ სალუქაძე და ექსპერტის რანგში მოწვეული დიდი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი – ბორის პეტროვი. საქართველოს ტელევიზიით უურნალ “მოაშექში” თახჩებიანი აფთიაქის ეფრიკა მოიწონა და აფთიაქისა და ხელნაწერი კარაბადინის ურთიერთდაკავშირებას ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, პროფ. ბორის პეტროვმა მახვილგონივრული უწოდა.



ალაგერდობის დდესასწაულზე ერთმანეთს შეხვდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნე – შალვა კვასხვაძე და წამალთმცოდნე სოკრატ სალუქაძე. ბატონი შალვა სოკრატის ბიძაშვილის მეუღლე იყო.



ფუნიკულიორზე სამახსოვრო სურათი გადაიღეს სტუდენტმა სოკრატ სალუქვაძემ და სომებმა პროფესორმა არტიომ მელიქიანმა.



სოკრატ სალუქვაძის დიდი სულიერი მეგობარი, საქრთველოს დამსახურებული პედაგოგი –
პლატონ სალუქვაძე



ბატონი პლატონის უფროსი გაუიშვილი მშენებელი-ინჟინერი
ბუთხუზი სალუქეაძე



ბატონი პლატონის უმცროსი გაუიშვილი, ინჟინერ-მექანიკოსი
იუჩა სალუქეაძე
ჩვენი სოკრატი და პლატონი ოჯახებით დიდი მფლობელი იყვნენ



იურისტი
გახტანე ხადუჭვაძე

გულიობრივი მფლობელობა აკაციებზედა სოკრატიან. სამწუხაოდ გახტანის უდროოდ გარდაცვალებამ დროებით ჟერუზალიმ ეს ურთიერთობა, მაგრამ იურისტმა პეტრე საღაუჭვაძემ გარდაცვალების ურთიერთმფლობრისა.



ახალგაზრდა იურისტი
პეტრე გახტანების ძე ხადუჭვაძე

მოყვასი კაცია სოკრატი ჟერუზალიმის, რომ ჩიტიდე კა ბუდეს აშენებს, თავისი მოდგმა რომ გაამარტინოს, ამიტომ ჩემი პეტრე დაქორწინდა, თორებ საღაუჭვაძების გვარი ამ პოდი დროს მცირდება. პეტრემ დანაირები ჟერუზალია, იგი დაქორწინდა ჟერუზალის გახტანე პეტრეს ძე – გახტანე II. სახელოვანი მამული შეიძლება გაიზარდოს! ამინ, ამინ, ამინ...



ბიძინა (ზურაბ) იურის ძე სალუქვაძე

ოზურგეთის რაიონში გაერთიანებული ქართული ბანკის მმართველი. ჩვენი სოკრატი ოხუნჯობით ასე მიმართავს: 50 წლიანი კრედიტით 1 000 000 ა.შ.შ. დოლარი მასესხე და ნახევარ მილიონს შენ გაჩუქრ- ბო. მაგრამ... სალუქვაძეები მილიონებს ასე არ არიგებენ და რომც დაარიგონ, თვითონ რა?!
ბატონ ბიძინას ჰყავს მეუღლე, პროფესიით ფარმაცევტი – ნატო სალუქვაძე და სამი შვილი..



ქ. თბილისის გითიბი ბანკის დიდუბის ფილიალის მმართველის ყოფილი მოადგილე გოჩა იურის ძე სალუქვაძე

ჩვენი წამალთმცოდნე ბედნიერ მომავალს და დღეგრძელობას უსურვებს ყველა სალუქვაძეს, მათ
შორის გოჩასაც. უხარია, რომ სალუქვაძეების შთამომავლობა ამართლებს.



ამ სურათზე ოთხივე მამაკაცი სალუქეგაძეებია. მარცხნიდამ მარჯვნივ: ცნობილი ფეხბურთელი თამაზ სალუქეგაძე, ბატონი ანდრო უორდანიას საყვარელი სპორტსმენი. თამაშობდა როსტოვის არმიელთა გუნდში და ახლო მეტობარი იყო გიქტორ პონედელნიკის. ერევანში მიღებული სერიოზული ტრამვის შემდგა “ა” კლასის გუნდურ შეჯიბრებებში მონაწილეობას აღარ ღებულობდა და ძირითად ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნდში “მერცხალში” თამაშობდა; წამალომცოდნე სოკრატ სალუქეგაძე, აქვეა ცნობილი აგრონომი გალოდი სალუქეგაძე. ჰიდროტექნიკოსი სოსო სალუქეგაძე, რომლის ვაჟიშვილებია იგორი და ვოგა სალუქეგაძეები, ასევე თამაზის ვაჟიშვილები თემური და ლაშა სოკრატთან აგრძელებენ მამებისა და ბაბუას დაწყებულ მეგობრობას.



სოკრატის მეგობარი, საქართველოს დამსახურებული მკურნალი, ბაგშვთა ექიმი
შოთა კარგარეთელი – 90 წლის „ჭიბუკი“



ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასტრონომი
გურამ სალუქვაძე.
ამჟამად მოღვაწეობს აბასთუმნის ობსერვატორიაში.



ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ნუგზარ სალუქვაძე



ალექს ანდლულაძე – სოკრატის მამის ბიძაშვილი, რომელიც ბოლო წლებში მოღვაწეობდა სამედი-
ცინო უნივერსიტეტში, აკადემიკოს არჩილ ასათიანთან ფიზიოლოგიის კათედრაზე. სურათი 1960
წელს გახლავთ გადაღებული




დიდი მეგობრობა აკაგშირებდათ საგარეჯოს რაიონის სამხედრო კომისარს ალექსანდრე სალუქვაძეს
და თბილისის №27-ე აფთიაქის მმართველს სოკრატ სალუქვაძეს.
ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა. ნათელში ამჟოფოს უფალმა.



ოზურგეთის რაიონის ყოფილი გამგებელი, ამჟამად სამეურნეო მუშაკი, ბიზნესმენი


თეიმურაზ სალუქვაძე




მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ძალიან უყვართ ერთმანეთი და ძმაკაცობენ
თამაზ სალუქვაძის ბადიში თამაზ კომახიძე და სოკრატ სალუქვაძე.



ბატონი იგორ იოსების ძე სალუქვაძე
ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს. მას წამალობის ცოდნებისა და მუზეუმის
სიყვარული მამა-პაპიდან ტრადიციულად მოდგამს.



სოკრატის ახლო ნათესავები, ცოლ-ქმარი
მაია თოიძე-სალუქვაძისა და ვოვა იოსების ძე სალუქვაძე-
ამჟამად ოზურგეთში ცხოვრობენ.



მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ონკოლოგი,
ჩვენი სოკრატის გგარის კაცი და მეგობარი
რაჟდენ სალუქვაძე



საქრთველოს ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი, სეფსისის ცენტრის დამაარსებელი და
ამავე უწყების დირექტორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი
გახტანგ ბოჭორიშვილი, რომელმაც ჩვენი წამალთმცოდნე „გილიოტინიდან“ გამოიხსნა



თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
გ. ჯვანიას სახელმწიფო

კადიგატრიული კლინიკა
380059, თბილისი, ლექა გურიაშვილის ქ. №21



TBILISI STATE MEDICAL
UNIVERSITY AT G. ZHVANIA
PEDIATRIC CLINIC
21, Lyublyana str., GEO-380059,
Tbilisi, Georgia

ღვაწლმოსილ პედიატრი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი უვანიას
სახელობის პედიატრიული კლინიკის კოლექტივი მადლიერებით
აღნიშნავს, რომ ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს,
მაღალერუდირებულ პიროვნებას, ბრწყინვალე კლინიცისტს, სათნო და
ლამაზ ქალბატონს მედეა გვიაძეს შეუსრულდა ექიმად მუშაობის
ნახევარსაუკუნოვანი თარიღი.

პედიატრიული კლინიკის აღმინისტრაცია ქალბატონ მედეა
გვიაძეს უცხადებს მადლიბას, როგორც ამაგდარ, ღვაწლმოსილ
პედიატრს, დამსახურებულ ექიმს, მრავალი წლის უანგარო
თავდაუტოვავი მოღვაწეობისათვის. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს
და ჯანმრთელობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის
მრავალრიცხოვანი კოლექტივი


თბილისი
2000 წელი

№1 აფთიაქი—მუზეუმის დირექტორი სოკრატ სალუქეაძე კეთილად იხსენიებს არა მარტო თავის
წინამორბედ მართველებს, არამედ აგრძელებს მათ შთამომავლებთან კეთილმეგობრულ ურთიერ-
თობას. ამას წინათ აფთიაქმა 100 წლისთავის იუბილე გადაუხადა ბატონ ვლადიმერ გვიაძეს. მისმა
ქალიშვილმა ექიმმა მედეა გვიაძემ აფთიაქს და მისმა მედეა გვიაძეს აფთიაქს და მისმა მედეა გვიაძეს.

ტექსტი მისი დახასიათება და ფოტოსურათია გამოქვეყნებული.



სოკრატ სალუქევაძის უსაფერლესი გგარის ქაცი, იტორიკოსი – ნოდარ სალუქევაძე. წარმოშობით სოფ. ლიხაურიდან, უბანი ქვაჭალათი. ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე. ნათელში ამყოფოს უფალმა.



ნატოს ბრიგადის გენერალი ანუ გენერალ-მაიორი, სალუქევაძეთა საგვარეულოდან ერთ-ერთი მოქმედი გენერალი, ამირან სალუქევაძე. გვარისკაცთან მეგობრობით ამაყობს ჩვენი სოკრატ სალუქევაძე.




XX საუკუნის უდიდეს პოეტს გიორგი ლეონიძეს პირადად ახლოს იცნობდა სოკრატ სალუქაძე, პოეტი ხომ №27-ე აფთიაქთან მდებარე რიგის ქუჩაზე ცხოვრობდა. გარდა ამისა, ჩვენს სოკრატს ძალიან უყვარს გ. ლეონიძის ლექსები: “ნინო წმინდა”, “ყივჩალის პაემანი” და ხშირად კითხულობს ზეპირად. ათონელის ქუჩაზე მდებარე თბილისის №8 აფთიაქის წინ, ალექსანდროვის ყოფილ ბაღში დგას პოეტის ეს მონუმენტური ძეგლი, რომელიც მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილს ეკუთვნის. ჩვენი წამალთმცოდნე ამ ცნობილი მხატვრის ახლო მეგობარიც არის. როგორც ჩანს, ყოველივე ამან განაპირობა წამალთმცოდნის საპატიო ყარაულში ყოფნა. ასეთ წერილობით „დასკვნას“ სთავაზობს მკითხველს სოკრატის თანაკურსელი გენრი დეკანოსიძე.



საქართველოს დამსახურებული პროგიზორის
დავით ქემერტელიძის ბიუსტი, მოქანდაკე – ოთარ ფარულავა.
ჩვენი სოკრატი იხსენებს: თბილისის 28-ე აფთიაქში დავითი ჩემი პრაქტიკის ხელმძღვანელი იყო და
მან ბევრი რამ მასწავლაო. ნათელში ამყოფოს უფალმა.



ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ქ. თბილისის სააფთიაქო სამ-
მართველოს ყოფილი უფროსი ჯემალ ენუქიძე, ომელმაც სოკრატ სალუქვაძე
დანიშნა თბილისის ორჯონიგიძის სახელობის სააფთიაქო ქსელის რ/ც-ის №27-ე
აფთიაქის მმართველად, ამვე დროს ხელშეკრულება გაუფორმა და მონოგრაფიის
გამოცემის გამო 12 000 მანეთი პონორარი უბოძა, ძმაკაციც ამას პქნიაო სიამ-
ოვნებით იხსენებს სოკრატ სალუქვაძე.




წამალომცოდნის კეთილშობილი მეგობარი, ბიზნესმენი
მურმან დეისაძე

ოლმლის ქველმოქმედებით დღემდე შეუფერხებლად მუშაობდა №1 აფთიაქი-მუზეუმის სარეცეპტურო
საწარმოო განყოფილება და საასისტენტო. უფალმა გვიმრავლოს ასეთი ქველმოქმედი
მამულიშვილები.



მარცხნიდან მარჯვნიგ: ჯემალ ბოსტოდანაშვილი, თამაზ გელოგანი, სოკრატ სალუქვაძე, ჯოტო ქ-
განიშვილი და გაუა ჩიხლაძე სპორტსახეებთან.




თბილისის ყოფილი №28-ე აფთიაქის მმართველი ვახტანგ ძინძიბაძე და ამავე აფთიაქის
პრაქტიკანტი სოკრატ სალუქვაძე ჭადრაკის დაფასთან.



კოლეგები სოკრატ სალუქეგაძე და იური სიხარულიძე. იური გარდაცვლილა,
ნათელში ამჟოფოს ლმერთმა.



ბიძაშვილები: წამალთმცოდნე – სოკრატ სალუქეგაძე და რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი
ტყვიით სროლაში გახტანგ სალუქეგაძე. მმების ამბაკოს და მათეს ბადიშები.



მეგობრები: ანზორ გაგსაძე, ანანია და სოკრატ სალუქაძეები.



ჩოხათა – სოკრატ სალუქაძე.



პატარა ლევან სალუქეგაძის ნათლობა სიონის ტაძარში – თაფლის სანთლით ხელში – ნათლია ზურაბ აბზიანიძე, ნათლულს სოკრატი დაარქვა, აქვეა ზურაბის მამა – მიხეილ აბზიანიძე, ლევანის ბებო – ქალბატონი მერი მუჯირი. უკანა რიგში დგას სოკრატ ბაბუ. სამწუხაროდ, მამა–შვილი ზურაბ და მიშა აბზიანიძეები ცოცხალთა შორის აღარ არიან, ნათელში ამყოფოთ დმერთმა.




ეს ფოტოსურათი 14 ივლისს ნოდარ დუმბაძის საფლავთან არის გადაღებული. მარცხნიდან მარჯვნივ – სოკრატ სალუქეგაძე, თამაზ წივწივაძე, აწ განსვენებული ზურაბ უგანია, გიგი წერეთელი, წინა რიგში – ნანული გუგუნავა, კათოლიკოს პატრიარქი ილია II, ექსპრეზიდენტი – ედუარდ შევარდნაძე და სხვები.



საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენერგეტიკოსი, ლოტბარი და ქორეოგრაფი გიორგი სალუქვაძე.



ანანია სალუქვაძის ჯერისწერა.



**პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და სოციალ-დემოკრატი დიდი
ანანია სალუქვაძე.**

1918 წლის 26 მაისს, ოთცა უხუცესმა გაბრიელ ქიქოძემ გახსნა საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრება, ყველაზე ახალგაზრდა 30 წლის ანანია ამ კრების ოქმს წერდა. პოლიტიკური პატიმარი 1935 წელს აღმა-ატაში გარდაიცვალა. ეგპატორიაში, პოლიტიკური პატიმრის ოჯახში დაბადებულმა 10 წლის შოთა სალუქვაძემ დაიმახსოვრა მამის საფლავი და 30 წლის შემდეგ, 47 წლის ასაკში გარდაცვლილი მამის ძვლები ჩამოასვენა, საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალა. სანიტარული საბურთის გაფორმებასა და მამის ცხელის ჩამოსვენებაში ძალიან დაეხმარა ოთარ მგელაძე. სამწუხაროდ 3 წლის შემდეგ მოულოდნელად გარდაცვლილი შოთა სალუქვაძე მამის გვერდით დაკრძალეს. მოკრძალებული საფლავის ესკიზი მერაბ ბერძენიშვილმა მოხატა, სადაც საქართველოს შვინდისფერი დროშის გვერდით მებრძოლი ჯარისკაცის სიმბოლური სამკლავეა.

საფლავის ქას აწერია:

“აქ განისვენებენ: ანანია მაქსიმეს ძე სალუქვაძე და შოთა ანანიასე სალუქვაძე”.

საბედო თრაგეგლიძემ მოულოდნელად გარდაცვლილ ვაჟიშვილს ასე დაატირა: “მამაშენმა 47 წელი იცხოვრა ამ ქვეყნად და შენკი 43-ე წლისთავზე საფეხური ჩაგიტყდა”. აღარც საბედო ცოცხალთაშორის, ყველანი უფალმა ნათელში ამყოფს. შოთას სამი შვილი დარჩა – მანანა, ანანია და სოფო. დაქ, დღეები და წლები, რაც მამას და ბაბუას დააკლდათ, შვილებს შეემატოსთ, ასე იღოცება სოკრატ სალუქვაძე და იმასაც იხსენებს, ოთმ, 1969 წელს 19 მარტს გარდაცვლილ შოთას კუბოში ასანთი და სიგარეტის კოლოფი ჩაატანა, თან ფიცი დაუდია: “მე სიგარეტს არასდოროს მოვწევ და თუ ამას ჩავიდენ, მაშინ შენი – შოთას დაგიწყების ტოლფასი იქნებათ”. პრინციპის და დადებული ფიცის ერთგულია დღემდე ჩვენი წამალომცოდნე.



მღერის ოთარ სალუქვაძე



ძვირფასო ოთარ! შენი სამმო დღემდე ვერ ურიგდება ამ წუთისოფლიდან შენს უდროოდ წასვლას იმ მარადიულ სასუფეველში. ბურანში ვართ... სიზმარ-ლვიძილში... გამოვფხიზლდებით და... შენ ვეღარ გხედავთ! გვაკლიხარ ყველას, ვისაც შენი ხაოიანი ბანი ახსოვს და ლექსის დუეტში წაკითხვა... უშეროდ პურის ჭამისთვის ლხინი ვეღარ დაგვირქმევია... “გადაუარა ბალახმა საფლავს-სიცოცხლის წერტილს, შენ ჩვენთვის, როგორ არა ხარ?!-მე აღარა ვარ შენთვის...” შენი ბადიში თთო, უკვე დიდი ბიჭია... ღვთით ბოძებული სმენა აქვს... ხმას დაამუშავებს და კვლავ იკისკასებს შენი ნიჭიერი ჯიში ამ ქვეყნად... მრავალუამიერ... ამინ... ამინ... ამინ... ასეთი სინაზულით იხსენებს ჩვენი წამალობის უმდიმს და დიდ სიცარიელეს გრძნობს, რომლის გარეშე დღეს ჩვენს სოკრატს ცხოვრება უმდიმს და დიდ სიცარიელეს გრძნობს, როცა ოთარ სალუქვაძე მის გვერდით რომ აღარ არის.



მექანიზატორი შუტუ სალუქვაძე. სოკრატის თანაკლასელი და გულითადი მეგობარი. ახლახან გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, მან კურორტი და დასვენება რა იყო, არ იცოდა. სული მისი აცხონოს უფალმა.



მრეწველმა ბონდო კალანდაძემ, ცნობილი წამალთმცოდნის სოკრატ სალუქვაძის 70 წლისთავის აღსანიშნავად 700 ლიტრი კონიაკი ჩამოასხა. მეგობარს ფოტოსურათი გადაუდო და უძველესი არაორდინარული კონიაკის ბოთლზე ეტიკეტად მოათავსა. შესვით კონიაკი და დალოცეთ სოკრატ სალუქვაძე. ბატონ ბონდოსთან მადლობის მეტი რა გვეთქმის!



მეგობრები: პოეტი – შოთა ნიშნიანიძე, წამალობრივი სოკრატ სალუქებაძე,
მწერალი ნოდარ დუმბაძე და მთარგმნელი გურამ ნოდია.



ამ ფოტოსურათზე ციტრუსების ბაზში აღბეჭდილია ლევან სალუქებაძე, მარჯვნივ გიორგი მუგია,
ზემოთ მარჯვნივ – კონსტანტინე მუავია, ჩვენი სოკრატის ბიძაშვილი და ბიძაშვილიშვილი. აქეე
მდგომი სოკრატი აცხადებს, რომ მას ძალიან კარგი და პატიოსანი მეზობლები ჰყავს – ერთ ცალს
ციტრუსების ნაყოფსაც კი არ მოპარავენ, დეპემბრის ბოლომდე , რომ დარჩეს მოუპრეფავი.



სოკრატის მეგობარი, იურისტი – ელგუჯა ტყეშელაშვილი.




სოკრატის ადზრდილი, რეჟისორი კახა მელითაური




მარცხნიდან მარჯვნივ: პროფ. ავთანდილ იოსელიანი, პროფ. იოსებ მეგრელიძე, პროვიზორი სოკრატ სალუქაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი ლამარა ქაჯაია, ექიმი ტარიელ მეგრელიძე. კერძო საუბარში პროფ. ა. იოსელიანს სოკრატისთვის ასე უთქვამს: “შენი გამოკვლევები წავიკითხე, დადგებითი გამოხმაურება-რეცენზია დაგიწერე. მინდა გითხრა, რომ შენ კარგად არცი იცი, რამხელა საქმე გაქვს გაკეთებული. კვლევა-ძიება გააგრძელე, ყოჩაღ”.



მარცხნიდან მარჯვნივ; მაკარ ნიკოლაიშვილი, სოკრატ სალუქაძე და კორნელი კინწურაშვილი ექვთიმობის ზეიმ-დღესასწაულიზე.



ნოვატორი რეჟისორის – სანდო ახმეტელის საფლავი ქართველ ხალხს დაუკარგეს. დიდი რეჟისორის მემკვიდრეობას მის პიუსტიან დგომით მაინც მივაგოთ ჯეროვანი პატივისცემა – ამბობს წა-
მალომცოდნე სოკრატ სალუქევაძე.



გურამ სალუქევაძე ცხოვრობს ქ. ოზურგეთში ბუჟუის პირას. “თეოლინას ბიჭი”
კარგი სამეგობრო კაცია.



ჯადოსნური სალამურის მქონე ომარ კელაპტრიშვილმა სოკრატ სალუქვაძე დაპატიჟა კავთისხე-
ევში ასეთი სიტყვებით: „ეს როგორ? შენ ჩემს რაიონში, სოფ. წინარეხში 500 თახიანი 500 წლის
წინანდელი მაღალაძების აფთიაქი აღმოაჩინე. კავთურას ხეობაში თურმე საეკლესიო მედიცინის
გულტურის გერა მოქმედებდა, შენი წიგნის პრეზენტაცია ჩემს ოჯახში უნდა მოვაწყოთ...“ სოკრატს
25 სტუმარი მიუყვანია, 50 ომარს დაუხვედრებია, 75 კაცი მისი ძმის გერისოს სახლის აივანზე დამ-
სხდარან, სტუმრებს ანსამბლი „რუსთავი“ შემომატებია და აიგანზე საცეკვაო ადგილი კიდევ დარ-
ჩენილა. მასპინძელს სტუმარი დგინის სარდაფში შეუპატიჟებია: „300 ლიტრა გახური აგერაა მმობი-
ლო, ოკაზი 160 ლიტრა მაქვს, დღეს 12 მაისია, ჩემი ძმიშვილის დაბადების დღე. გუშინწინ ხომ იყო
შენი დაბადების დღე, პოდა ამჟამად თამადად გნიშნავ, ჩემსა და შენს სტუმრებს ორთავეს კარგად
მიმიხედვო, ჰო, დგინო რომელი აირჩიე, ისიც მითხარიო. სოკრატს „ოკაზი“ აურჩევია. შემადგენლობა
ისეთი ყოფილა, რომ კალათბურთელთა ენაზე „ძირითადი სასტარტო“. რომ პქვია. ხალისიც იყო,
მოლხენაც და ზღაპრული სტუმარ-მასპინძლობა. ასეა, ჩვენს სოკრატს მტრებზე უფრო მეტი მეგო-
ბრები ჰყავდა. ცხოვრების ბრძოლის ველზე წამოჩერებული და გულგატეხილი არავის უნახავს, ის
შეუპოვარია დღემდე. ისეო, თვითკრიტიკულად ამბობს ჩვენი სოკრატი: „სინდისიც გარგი საქონე-
ლია, თორემ 25 სტუმარის მოყვანას ძმასთან გაბედაგ?“




ქ. თბილისის №27-ე აფთიაქის თანამშრომლები. სხედან: ნანა ესებუა-მახარაძისა, ნინო ნასყიდაშ-
ვილი. უკანა რიგში დგანან: რიცა მიქაუტაძე, კირა ტოპუზოვა და სოკრატ სალუქვაძე.



ცნობილი სანიტარ-ეპიდემიოლოგი ექიმი—ორგანიზატორი
გიქტორ (უტული) მოსიძე. (ზის თეორი კოსტუმით).
მარჯვნივ — სოკრატ სალუქევაძე. ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.



ორიგინალურ სამედიცინო პლაკატზე მომუშავე ჯგუფი: მარცხნიდან პირველი: სოკრატ სალუქევაძე,
ედუარდ გიგილაშვილი, მხატვარი — გიორგი ავსაჯანიშვილი და მთავარი სააფთიაქო სამმართ-
ველოს ყოფილი უფროსი — გურამ სანთაძე.



ქომუნისტური წელის 70 წლის მანძილზე, წამალომცოდნებისა და მედიცინის ისტორიის პრო-პაგანდის თვალსაზრისით, ამ პლაკატებზე კარგი არაფერი გამოცემულა და და ოპონებებიმა ეს პუბლიკაცია, მანც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. დიდი ზაზა ფანასკერტელის 550 წლისთაგის იუბილის მომზადებაში ამ პლაკატებმა დიდი როლი შეასრულა, ამიტომ შემდგენელ ავტორებთან და მხატვართან გიორგი ავსაჯანიშვილთან მადლობის მეტი რა გვეთქმის!



რესპუბლიკის სახალხო არტისტი, დიდი ლოტბარი ამზორ კაგსაძე



ქ. თბილის №1 აფთიაქი-მუნეკის თანამშრომლები.
ცენტრში დირექტორი სოკრატ სალუქეაძე, მარჯვნივ – მთავარი ბუღალტერი იზთ შალამბერიძე,
მარცხნივ პროფისორ ტექნოლოგი ქეთინთ გუგავა.



ანზორ ერქომაიშვილსა და სოკრატ სალუქეაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებთ. ჩვენი წამადომ-ცოდნები სხვებთან ერთად დიდად აფახებს იმ ფაქტს, რომ ბატონშია ანზორმა იაპონელებს, ევროპელებს, ამერიკელებს, მათ შორის კანადელებაც კი შეასწავლა ქართული ხალხური სიმღერები. ფოტოსურათზე გენიალური დოტბარი ანზორ ექომაიშვილი ახალგაზრდა მომღერლებთან ერთად.




საქართველოს ქორეოგრაფიული აკადემიური ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე,
საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენსანი
ომარ ხურციძე

ომარი ჩვენი წამალთმცოდნის მეგობარია და იგი ასეთი თხოვნით მიმართავს: ადიგენის რაიონში წმინდა გიორგის სახელობის ზარზმის ეკლესია მირმველი თავადების ხურციძეების ძვალშესალა-
გია, ამიტომ წინაპართა სულის საცხოვნებლად ხშირად ესტუმრე ამ აქლესიას და ილოცე მათი
სულების მოსახსენიებლადო. დედას პურები და დვინო აქედანვე წავიდოთ, ხბოს და ცხვარს შეს-
აწირავს იქაც გიპოვითო, ასე შეახსენებს ქეიფის მიზეზს თავის მმაკაცს ჩვენი წამალთმცოდნე.



ცნობილი კინოდოკუმენტალისტი და რეჟისორი
მიხეილ სალუქვაძე.

მისი მეუღლე ეროვნებით ბერძენი ოლქა კომუნისტებმა სამ შვილთან ერთად შუა აზიის ტრამალებში გადაასახლეს. ბატონმა სოსომ კოსტას შეთქმულების ცოტნეს გმირობა გაიმეორა და სადაც ჩემი ცოლ-შვილი - მეც იქაო. გადაასახლდა ცოლ-შვილთან ერთად. შემდეგ კი ყველანი მშვიდობით დაბრუნდნენ ოზურგეთში. სანდროს და ჯულიას ქორწილში წამალომცოდნე სოკრატ სალუქაძე ხელბედნიერი თამადა გამოდგა. სოსოს ყველა შვილს კარგი ოჯახები აქვთ.



**ოზურგეთიში მცხოვრები ნავთობბაზის ყოფილი თანამშრომელი
ბიზნესმენი სოსო სალუქაძე**



სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ტყვიით სროლაში ნინო გახტანგის ასული სალუქაძე – მაჭავარიანისა სტუმრად ქ. თბილისის №1 ავთიაქ-მუზეუმში.



გეოგრაფიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი
იოსებ (სოსო) მიხეილის ძე სალუქაძე




მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის და ურბანული ეკოლოგიის განყოფილების
უფროსი, არქიტექტორი
მამუკა მიხეილის ძე სალუქაძე



სილამაზის დედოფალი (2002)
ნინო როლანდის ასული სალუქვაძე




საგარეო საქმეთა სამინისტროში განსაკუთრებულ საქმეთა წინამდლოლი
ნათუნა როლანდის ასული სალუქვაძე



პოეტი და სცენარისტი
მამუკა ანზორის ძე სალუქვაძე
მამუკა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ნათელში ამყოფს უფალმა.



ქართლ-კახური სიმღერების დუეტში განუმეორებელი მთქმელები-მგალობლები,
ჩვენი წამალობის მეგობრები:
ჰამლეტ გონაშვილი და რამინ მიქაბერიძე



პოეტი და სცენარისტი, რუსთაველის პრემიის ლაირეატი
ანზორ სალუქევაძე.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი-მდიგანი
მინდია ევგენის ძე სალუქევაძე.
სალუქევაძეთა საგვარეულოს საამაყო ეთნარქი.



ბიზნესმენი ზურაბ აბზიანიძე

ცნობილი ბიზნესმენი და ინჟინერ-მექანიზატორი, ჩვენი წამალთმცოდნის ძმადნაფიცი. ქალბატონი მერის მამა – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მელქის მუჯირი თზურგეთის პირველ ვაჟთა სკოლაში ზურიქოს ხაზვისა და ფიზიკის მასწავლებელი იყო. თვითონვე ხშირად იხსენებდა. მე, რომ ინჟინერი ვარ, ეს მელქის მასწავლებლის დამსახურებაათ. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გამორჩეულ პატივს მიაგებდა მმაკაცის სოკრატ სალუქვაძის ოჯახს. ქ. თბილისის 27-ე აფთიაქს საქმეაჭტოგრანსის უფროსმა ორი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ აჩუქა ბალანსიდან ბალანსზე. კომუნისტური წყობის მსხვრევის შემდეგ, მმაკაცს უთქმამს მმაკაცისათვის: „სამ დღეში მომაკითხე, 3.000 ამერიკულ დოლარს გაჩუქებ, წადი ბაზარზე და რადგან ღმერთი სამობითაა, ამჯერად მესამე „გაზ-31“ მარკის მანქანა შეიძინე ჩემგან სამახსოვროდ“. ჩვენს წამალთმცოდნეს ეს არ გაუქეთებია, რადგანაც იცოდა, რომ ზურაბ აბზიანიძე მძიმე დაავადებით იყო სარეცელს მიჯაჭვული და ამიტომ მისგან მანქანის საყიდელი ფულის გამორთმევა არაფრით არ უკადრებია. მცხეთაში მის გვერდით დასახლებასაც შეპირდა მმაკაცი, მაგრამ სოკრატს ასე უპასუხია: „კარგად, რომ გახდები და გამოჯანმრთელდები, სააგარაკო ნაკეთის გამოყოფაზე შემდეგ ვიზურულოთ“. მმადსაფიცარი მეგობრის გარდაცვალების დღე მწარედ ახსოვს სოკრატს. ზურაბ აბზიანიძე 2002 წლის 25 აპრილს გარდაიცვალა. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა და მისი ოჯახის წევრებს შეეწიოს მაღლი წმინდა გიორგისა.



ჩგენი წამალობრივის კოლეგა
ჯამბულ ონიანი

როგორც თვითონვე ამბობს, ფრიადებზე ვწავლობდიო, მაგრამ სამიანზე ვცხოვრობო...




მკვლევარი ს. სალუქაძე თსუ-ს უნივერსიტეტში ლექციების კითხვისას გაეცნო სტუდენტ ნატაშა ოტენს, რომელსაც ოჯახში ესტუმრა. იქ სხვა ნივთებთან ერთად ეს ფოტოსურათიც გადასცეს, რომელზედაც ფარმაციის მაგისტრი ფერდინანდ კარლ ოტტენი და მისი ოჯახის 40-მდე წევრია. გინაობის გაშიფრვა ამჯერად შეუძლებელია.



რადიოინჟინერი
ავთანდილ სალუქევაძე
მოყვასი კაცი, თაგისი ჯიშის და გეარის მოყვარული.



ბადრი ბენოს ძე სალუქევაძე
პოლიციის პოლკოვნიკი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.




**აკადემიკოსი, მეცნიერი, მუდამ გაწონასწორებული, კეთილშობილი მოქალაქე
ბატონი როინ მეტრეველი**

ჩვენი წამალთმცოდნე მის მეგობრად თვლის თავს. ეს ასეცაა, ვინაიდან ბატონი როინის ყველა
მონოგრაფია ავტოგრაფით ამშვენებს წამალთმცოდნის ბიბლიოთეკას.




სოკრატ სალუქაძის მეგობრები, ჩვენი დედაქალაქის კოლორიტული ფიგურები:
ეპონომისტი გივი ვიბლიანი და იურისტი კარლო გოგოტიშვილი.



ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პროფესიონალი,
პროფესორი, დარგობრივი აკადემიების ნამდვილი წევრი,
ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი
რეზო ბალანჩივაძე.
ჩვენი წამალთმცოდნის სოკრატის მეგობარი და მეზობელი.



სურათზე მეგობრები: (მარცხნიდან მარჯვნივ) დუმბაძის სახელობის შრიფტის ავტორი – ანგონ დუმბაძე, (სამწუხაროდ, ავტოგატასტროფაში დაიღუპა), წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე და მომ-
ღერალი გიგი ტორონჯაძე.




პროფესორი ავთანდილ გელაშვილი

პათანატომი, კომპეტენტური სპეციალისტი მედიცინის ისტორიაში, მას გულითადი მეგობრობა აკაგ-შირებდა წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევართან სოკრატ სალუქეაძესთან. იყო მისი კაპიტალური მონოგრაფიის ერთერთი რეცენზენტი ბატონი ავთანდილი აღფრთოვანებას არ მაღავდა სოკრატ სალუქეაძის ნარკევეგბის გაცნობისას. განსაკუთრებით მოსწონდა ისტორიული ცნობები მაღალაძეების შესახებ. ასევე კავთურას ხეობაში წალკოტის არსებობის ფაქტის დაფიქსირება, იმავე კავთურას ხეობაში საეკლესიო მედიცინის კულტურის კერის გამოვლინება. დიდ დასაბუთებულ ეგრიკებად თვლიდა კავთურას ხეობასა და სოფ. ნიჩბისში თახჩებიანი აფთიაქების აღმოჩენებს. დადგებითად აფახებდა, ”კარაბადინისა” და ”ფარმაკოპეის” იგივების საკითხს, ზაზას და მახარებლის ხელნაწერი კარაბადინის დაკავშირებას ამავე საგვარეულობების აფთიაქებთან. ერთხელ, პათანატომიის კათედრაზე ბატონ ავთანდილთან მისულა წამალთმცოდნეობის მკვლევარი სოკრატ სალუქეაძე, „ფოტომხატვარს მოვიყვან და ერთად სამახსოვრო ფოტოსურათი გადავიღოთ“. ავთანდილს ასე უთქვამს: “შენი დისერტაციის დაცვა ბაქოში, სარკოვში ან მოსკოვში თუ შედგება, მე ყველგან მოვდივარ და თქვენი დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი გიქნები”, თანაც დაუმატებია: “თქვენი გამოკვლევები პირდაპირ სადოქტორო ხარისხის მინიჭებას იმსახურებს. ფოტოსურათები, კი შემდეგ გადავიღოთ რამდენიც გინდაო”... ამის შემდეგ უკეთილშობილესი მეცნიერი და მოქალაქე, ავთანდილ გელაშვილი ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა და დიდი წუხილი დაგვიტოვა. მისი სული ნათელში ამყოფოს უფალმა.



წამალთმცოდნე სოკრატ სალუქევაძე ხშირად ხვდება და საუბრობს ანბანთმცოდნე რამაზ პატარიძესთან. ეცნობა მის გამოკვლევებს და ჰიპოთეზებს ქართული დამწერლობის შესახებ. როცა მკვლევარს ქართული წამალთმცოდნეობის სიძველის დამტკიცება სურს, რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია ქართული დამწერლობის სიძველეზე. რასაც ემატება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სამედიცინო ტექნიკის იარაღები და არაქართული წერილობითი წყაროები, ამიტომ მათი შეხვედრა და საუბარი ყოველთვის საინტერესოა. სურათზე რამაზ პატარიძე და სოკრატ სალუქევაძე.



ანზორ ჭეიშვილი.
ცნობილი ბიზნესმენი, ჩვენი წამალთმცოდნის მეგობარი.



